წლიწადი პირველი. № 4. ფასი 10 კაპ. კვირა, 5 აპრილი 1909 წ.

# იალქანი

ყოველკვირეული სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციის დროებითი ადრესი: Тифлисъ, Елисаветинская ул. № 17. Типографія М. Д. Кикнадзе.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе, Елисаветинская ул. № 17.

„იალქანი“

| | |
|---|---|
| თფილისსა და თფილის გარეთ ერთ წლით | 5 მ. — |
| ნახევარი წლით . . . . . . . . . . | 3 მ. — |
| სამი თვით . . . . . . . . . . . . | 1 მ. 60 კ. |
| საზღვარ გარეთ ერთი წლით . . . . . | 8 მ. — |
| ნახევარი წლით . . . . . . . . . . | 4 მ. — |
| სამი თვით . . . . . . . . . . . . | 2 მ. — |

**ცალკე ნომერი ყველგან ორი შაური.**

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდ ხანს არ ინახავს. ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

**შინაარსი:** სახელმწიფო დუმის შესახებ. — ინცინდენტი ავსტრიის რეიხსრატის და სახელმწიფო დუმის სოც. დემოკ. ფრაქციათა შორის. — პროფესიონალური და პარტიული ინტერესები ლ. კანდელისა. — უტოპისტები და მარქსის მოძღვრება ი. გომართელისა. — საფლავის ტყვეს (ლექსი) იასამანისა. — წერილი პარიზიდან არისტიდისა. — ღამეა (ლექსი) ხაშმელისა. — შალვა, (მოთხრობა) ს. რემონიძესი. — შინაური ამბები. — რუსეთის ცხოვრება. — უცხოეთი. — პროვინცია. — განცხადება.



იდილია.

1195

# სახელმწიფო დუმის შესახებ.

თფილისი, 5 აპრილი.

ორი დღის შემდეგ ტავრიდის სასახლეში კვლავ დაიწყება მაღალი კრების, სააღდგომო კანიკულების გამო შეწყვეტილი, სხდომები. ამ კრებისაკენ მიიქცევა მთელ ცნობიერ რუსეთის ფხიზელი ყურადღება და ეს არა მარტო იმიტომ რომ სახელმწიფო დუმას ახლო მომავალში განსახილველი აქვს ისეთი დიდი, კარდინალური საკითხი, როგორიც არის პიროვნების ხელშეუხებლობის საკითხი, არამედ კიდევ უფრო სხვა მოსაზრებითაც.

საქმე ის არის, რომ სააღდგომო კანიკულების წინა სხდომებზე საკანონმდებლო გემი ისე ძლიერათ გადატოკდა მარცხენა გვერდზე, რომ ბევრი სერიოზულათ ელის დუმისაგან მომარცხენო კურსის აღებას.

არ იქნა და სახელმწიფო დუმა ვერ დადგა ერთ მტკიცეთ განსაზღვრულ დონეზე. იგი თავის არსებობის პირველი დღეებიდან აქამომდე ცალ გვერდზეა დახრილი და განუწყვეტლივ ქანაობს, რაც დიდ გულის ტრიალს იწვევს როგორც მეზღვაურთა შორის, ისე იმათ ბანაკშიაც, რომელნიც მუდამ იმას ოცნებობენ, რომ როგორმე „ვარდი უეკლოთ მოჰკრიფონ“, და მოძრაობის დროს „რეჩების“ შადრევანებით ხმა გააკმენდინონ ხოლმე ტყვიის მტყორცნელებს.

როდესაც შემოდგომის სესიის დაწყებისას კადეტების ფრაქციამ აშკარა და ენერგიული ოპოზიციონური კილო აიღო, მაშინ თვით პროგრესისტები, მშვიდობიან განახლების დეპუტატები და მემარცხენე ოქტომბრისტები იმდენათ დაფრთხენ, რომ ყველა „მორწმუნეთ“ უმალვე წარეხოცა ყოველივე იმედი „კონსტიტუციონურ ცენტრის“ შედგენისა. მთელი ფრაქცია ოქტომბრისტებისა ერთბაშათ დაუკავშირდა მემარჯვენეთა ბანაკს. ამავე ხანებში ერთ ბანკეტზე დუმის თავმჯდომარემ ხომიაკოვმა და პურიშკევიჩმა ერთმანეთს აშბორ უყვეს ახალი ბლოკის განსამტკიცებლათ. მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე კვირა და დუმის პარტიულ ვითარებას შესამჩნევათ ფერი ეცვალა. ოქტომბრისტების ფრაქციაში დაიწყო დემორალიზაცია, რასაც იწვევდა შავრაზმელებთან დამოყვრებით წარმოშობილი უკმაყოფილება. და იმის დაკვალათ, როგორც იფანტება რევოლიუციისაგან მოვლენილი შიში, რამაც მესამე დუმა ერთბაშათ მისჭყუნა შავ-რაზმელთა ბანაკში, დუმის უმრავლესობა უფრო და უფრო ბეჯითათ ცდილობს კონსტიტუციონურ ჰანგების აღებას. დუმის სულიერ განწყობილებაზე უკანასკნელ ხანებში, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა იქონია იმ უშველებელ მარცხმა, რომელიც რუსეთმა განიცადა საგარეო პოლიტიკაში და რომელსაც თითქმის ყველა ორგანოები უწოდებენ „დიპლომატიურ ცუსიმას“.

სააღდგომო კანიკულების წინა დღეებში ოქტომბრისტებს და შავრაზმელებს გენერალური შეტაკება ჰქონდათ, რის შემდეგ ისინი ზურგ შექცეული განშორდენ ერთმანეთს. სამხედრო სამინისტროს სმეტის განხილვაზე ოქტომბრისტებმა წინააღმდეგ მემარჯვენეებისა ოპოზაციასთან ერთათ ხმა მისცეს სამხედრო სასამართლოთა კომპეტენციის შეზღუდვას. ერთის სიტყვით, დუმის ხელმძღვანელი პარტია ამ ჟამათ მარცხნივა ჰყნოსავს. რით გათავდება ეს ამბავი, ძნელი სათქმელია. ჯერ კიდევ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ დუმა მოახერხებდეს იმ საფლობიდან ამოსვლას, სადაც იგი იმ; თავიდანვე ჩ-ფლულია. ხოლო ის გარემოება, რომ სახ. დუმის თვით გამორკვევა ჯერაც არ დასრულებულა და ჯერაც არ შემდგარა ნამდვილი საპარლამენტო ცენტრი, ნათლადა ჰმოწმობს ამ დუმის „პირვანდელ ცოდვას“, მის ხელოვნურ წარმოშობას. უფლების მეცნიერებამ და კონსტიტუციონურ ქვეყნების პრაქტიკამ მხოლოდ ერთი საშუალება იცის ნამდვილ სახალხო წარმომადგენლობის შესადგენათ. ეს არის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნები, საიდუმლო კენჭის ყრით. მხოლოდ ასეთ საფუძველზე შემდგარი წარმომადგენლობა მისცემს საკანონმდებლო გემს მტკიცე, რეფორმატორულ მიმართულებას. მაგრამ ასეთ შარა გზამდე არსებობს კიდევ მრავალი ბილიკები, რასაც შეუძლიან სასარგებლო როლი ითამაშოს ისეთს პოლიტიკურ განახლებისათვის მომწიფებულ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთის იმპერია.

ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ფხიზლათ თვალს ვადევნებდეთ სახ. დუმის საქმეთა მსვლელობას, იმიტომაც, რომ გავიადვილოთ საზოგადოებრივ ძალთა მდგომარეობის სწორი დაფასება, რაც უეჭველი პირობაა სწორი ტაქტიკის საწარმოებლით და გამარჯვების მოსაპოებლათ.

# ინციდენტი

**ავსტრიის რეიხსრატის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის პოლონურ სექციისა და რუსეთის სახელმწიფო დუმის სოც.-დემ. ფრაქციის შორის მომხდარი.**

მკითხველებს ეხსომებათ ის სასკანდალო დებატები და კენჭის ყრა, რომელიც გასულ თვის დამდეგან მოხდა სახ. დუმაში იუსტიციის სამინისტროს სმეტის გან-

ხილვის დროს პოლონელთა კოლოსაგან შეტანილ, ამიერიდან ცნობილ, წინადადება-სურვილის შესახებ. ამ გარემოებამ ცხარეთ აალაპარაკა თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიები არა მარტო რუსეთში, არამედ აგრეთვე საზღვარ გარეთაც. ხმა აღიმაღლეს აგრეთვე ავსტრიის რეიხსრატის სოც. დემოკრატიულ ფრაქციის პოლონელ დეპუტატებმა. ამათ სახ. დუმის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას გამოუგზავნეს წერილი, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ.

„ფორმულის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა პოლონელების დაშვებას სამოსამართლო თანამდებობაზე პოლონეთში, ხმა მისცა მთელმა ს.-დ. ფრაქციამ და მით მან გადასწყვიტა მთელი ფორმულის ბედ-იღბალი. თუმცა დეპ. გეგეჭკორმა ამასთან საჭიროთ სცნო ს.-დ. ფრაქცია გამოეცხადებია პოლონეთის პროლეტარიატის წარმომადგენლათ, მაგრამ ჩვენ, პოლონელ ს. დ. დეპუტატებმა, თვით პოლონელ პროლეტარიატის მიერ არჩეულმა, უნდა გამოვთქვათ ჩვენი კატეგორიული რწმენა, რომ პოლონელებს პოლონეთის სამეფოში უფლება აქვთ არა მარტო სამოსამართლო თანამდებობათა დაჭერის, არამედ სრული ეროვნული თვით-გამორკვევისაც, და რომ ამის უარყოფა არის ძალმომრეობა და ბოროტ-მოქმედება.

„ს. დ. ფრაქციამ დუმაში, თავისი ხმის მიცემის მეოხებით, თავი ამოჰყო იმავე პოზიციაში, რომელზედაც დგას მთავრობა და შავი რაზმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერც ერთი დეპუტატი, პოლონეთის პროლეტარიატის მიერ არჩეული, ვერ დადგებოდა იმ თვალსაზრისზე, რომელსაც დაადგა თავის სიტყვაში ამხ. გეგეჭკორი, ხოლო კენჭის ყრის დროს კი — მთელი ფრაქცია..

„ხოლო დამოკიდებულება ბიუჯეტისადმი სოციალისტებისათვის ვერ გახდება საბაბი ძალმომრეობის დასაკანონებლათ პოლონეთის ერის შესახებ“...

წერილის ავტორები — ეგნატე დაშინსკი, დიამანდი, რიჩარდი, კუნიცკი, ანდრია მორაჩევსკი, ლიბერმანი და ი. გუდეცი — ხაზ გასმით შენიშნავენ, რომ სოც. დ. ფრაქციის აღნიშნული მოქმედება ძირიანათ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ს.-დ. პრინციპებს და რომ იგი „მეტათ მავნებელია პოლონელ ფართო მასსის ინტერესებისათვის“-ო და წერილს აბოლოვებენ განცხადებით: „პოლონელი პროლეტარიატის ერთადერთი წარმომადგენელი პარლამენტში ვართ ჩვენა“-ო.

ამ წერილის საპასუხოთ დუმის სოც.-დ. ფრაქციამ მათ გაუგზავნა გრძელი ეპისტოლე, სადაც სხვათა შორის სწერია:

„თქვენი წერილი შეუბრალებელი ფორმითაა დაწერილი და ამნაირივე შეუწყნარებელი ფორმით თქვენ კამათს ეწევით თქვენს ცენტლარურ ორგანოში.

ამიტომ ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია, რომ საქმის არსებითი მხარე სავსებით დაგიხატოთ. ამას ჩვენ ვიზამთ მაშინ, როცა საერთაშორისო სოციალდემოკრატიას მივმართავთ“....

„თუ კოლომ განაგრძო-რა თავის უგოლოვცური პოლიტიკა, უარი სთქვა თავის ფორმულის პირველი ნაწილის გაფართოებაზე და ერთათ ერთ შესაფერ ნაბიჯის გადადგმაზე — ხარჯ-აღრიცხვის უარ-ყოფაზე, — სოციალდემოკრატები, რომლებიც ვალდებულნი არიან მედგრათ დაიცვან მშრომელი ხალხის ინტერესები და ერების პოლიტიკური და კულტურული თვითგამორკვევის უფლება, მოიქცენ სავსებით ლოღიკურათ, როდესაც ერთიანათ ფორმულის წინააღმდეგ მისცეს ხმა...

„ამნაირათ ჩვენი გამოსვლა და დიმშას ფორმულისადმი დამოკიდებულება სავსებით შესაფერი იყო და ამასთანავე სოც.-დემოკრატიულ პრინციპებთანაც და საქმის კონკრეტიულ პირობებთანაც შეთანხმებული“.

ჩვენ მოვიყვანეთ უფრო საყურადღებო ადგილები. მკითხველს შეუძლიან სრულად წაიკითხოს ორივე წერილი „ჩვენ საქმეში“ (იხ. № 23). ამოწერილი ადგილებიც საკმარისად ჰმოწმობენ, რომ მთელი ეს ინციდენტი სამწუხარო მოვლენას შეადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკაში.

უნდა განვაცხადოთ, რომ ავსტრიის პოლონელ ამხანაგების მოხსენებული წერილი ჩვენ დიდ შეცდომათ მიგვაჩნია, თუმცა ამასთანავე არ გვავიწყდება, რომ მათ სრული საბუთი ჰქონდათ უკმაყოფილებისათვის. მეორე მხრივ, ისიც უდა აღვიაროთ, რომ სახ. დუმის სოც. დემ. ფრაქციის საპასუხო წერილიც ჩვენ სრულიადაც არ გვაკმაყოფილებს. ნაცვლად იმისა, რომ ამ წერილის ავტორები, თავის შესახებ, დასჯერებოდენ „დანაშაულობის შემამცირებელ გარემოებათა“ აღნუსხვა-განმარტებას“, იგინი შეუდგნენ თავიანთ, ავსტრიელ ამხანაგებისგან ნიშანში ამოღებულ, საქციელის სავსებით გამართლებას. ამით, რასაკვირველია, მათ კიდევ უფრო გააცხოველეს და დაამძიმეს ფრაქციის მიერ ჩადენილი შეცდომა. უკანასკნელი ჩვენ აღვნიშნეთ ამ ორგანოს პირველ ნომერშივე. (იხ. წერილი „რა მოხდა?“)

## პროფესიონალური და პარტიული ინტერესები.

## II

მუშების ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციები, არსებითად, სწორედ ისევე შეეწონებიან ერთმანეთს და ისევე არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი, როგორც კაპიტალისტების ასეთივე ორგანიზაციები. აქაც და იქაც პოლიტიკური ორგანიზაციები იარაღია ეკონომიურ ინტერესთა სასამსახუროთ, და, მაშასადამე, არ შეიძლება ამ ორ გვარ ორგანიზაციათა მისწრაფებანი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდენ. მაშასადამე მუშების ხსენებულ ორგანიზაციათა შორის თანხმობა და სოლიდარობა უნდა არსებობდეს.

მაგრამ ცხოვრებაში არა იშვიათად მოწმე ვართ ხოლმე სრულიად წინააღმდეგისა. არა იშვიათად ვხედავთ, რომ მუშათა ესა თუ ის ეკონომიური და პოლი-

ტიკური ორგანიზაციები სრულიად განცალკევებული არიან ერთმანეთისაგან და ან, რაც კიდევ უარესია, მათ შორის ცხარე კონფლიქტი არის გაჩაღებული. ასე ჰხდება, რასაკვირველია, მაშინ, როდესაც მუშებს ჯერ კიდევ სისწორით არ შეუგნიათ თუ რა კავშირი არსებობს ამ ორგვარ ორგანიზაციათა შორის. და ამ შეგნებას წინ ელობება მრავალი გარემოება.

ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ პროფესიონალურ კავშირებს ყოველთვის არა სჭირდებათ პოლიტიკურ ორგანიზაციების დახმარება. არის ისეთი პერიოდები, როცა კავშირებს თამამათ შეუძლიანთ თავიანთ უახლობელეს მიზნების მიღწევა — შრომის პირობების გაუმჯობესება — პოლიტიკის სრულიად გარეშე. ასეა მაშინ, როცა მრეწველობის განვითარება ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ, კაპიტალისტების მოგება ერთბაშათ იზრდება და ამავე დროს თვით მუშებსაც საკმაოთ ღონიერი კავშირები მოეპოვებათ თავიანთ მოთხოვნების დასაცავათ. აღსანიშნავია, რომმრეწველობის აყვავების ხანაში პროფესიონალური ორგანიზაციები სწრაფათ იზრდებიან და ვითარდებიან, პოლიტიკური ორგანიზაციები კი სუსტდებიან და ეცემიან. ხოლო მრეწველობის კრიზისების ხანაში თავს იჩენს წინააღმდეგი მოვლენა, ე. ი. მუშათა პროფესიონალური მოძრაობა სუსტდება და პოლიტიკური მოძრაობა კი ძლიერდება. ამის მრავალ მაგალითებს იძლევა მუშათა მოძრაობა დასავლეთ ევროპაში საზოგადოთ და ინგლისში—კერძოთ; განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ ინგლისის მუშათა მოძრაობა 1837 წლიდან 80-იან წლებამდე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის იმპერიაში საქმეთა მსვლელობა სულ სხვა გვარია. აქ მუშათა ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციების სვე-ბედი განუყრელათ მისდევს ერთმანეთს. აქ თუ იზრდება და ვითარდება ეკონომიური ორგანიზაციები, იზრდება და ვითარდება პოლიტიკური ორგანიზაციებიც, ან სუსტდება და იშლება პირველი და ამასთანავე ერთად სუსტდება და იშლება მეორეც. ასეა, რადგან რუსეთში არსებულ საერთო პოლტიკურ პირობების გამო ძნელი გამოსაცნობია სად თავდება მუშათა ეკონომიური მოქმედება და სად იწყება მათი პოლიტიკური მოქმედება. ნამდვილათ ეკონომიურ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ არსებობის უფლება. თუმცა „სადაც ჯერ არს“ ირწმუნებიან, რომ მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებს არ მოაკლებენ თანაგრძნობასა და მფარველობას, თუ ისინი თავს დაანებებენ პოლიტიკას და დასჯერდებიან წმინდა ეკონომიურ მოქმედებას.

ასეთის სიტყვებით მუშებს მხოლოდ რუსეთში როდი მიმართავენ. ამას უქადაგებენ მას დაწინაურებულ ქვეყნების ბურჟუაზიის იდეოლოგები. ესენი არავითარ საშუალებას არა ზოგავენ, რათა მუშებს ჩაუნერგონ ის აზრი, რომ პოლიტიკა მუშებისათვის დამღუპველია, რადგან მათ წინააღმდეგ ამხედრებს ბურჟუაზიას და ამ რიგათ წინ ელობება მათს სამართლიანს ეკონომიურ მოთხოვნების დაკმაყოფილებასო. მართლაც, ბურჟუაზიის შორსმჭვრეტელი ელემენტები მით უფრო ლმობიერათ ეპყრობიან მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებს და მით უფრო ადვილათ აკმაყოფილებენ ამათგან წამოყენებულ მოთხოვნებს, რამდენათაც ესენი უფრო შორს არიან პოლიტიკაზე და არა სცილდებიან წმინდა პროფესიონალურ ინტერესებს.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, შესაფერ გავლენას ახდენს შეუგნებელ მუშათა მასსის პსიხოლოგიაზე. ეს აწვეთებს იმ აზრს, რომ პოლიტიკა მათთვის მართლაც მავნებელია და რომ ისინი შველა-ხსნას უნდა ელოდენ მარტოოდენ პროფესიონალურ ორგანიზაციებიდან.

გარდა ამისა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციათა შორის კონფლიქტის შესაძლებლობა ჩასახულია თვით ამ ორგანიზაციათა სხვადასხვა, ასე ვთქვათ, ხასიათში. მუშათა პარტია ემსახურება მთელ მუშათა კლასს ჲ იცავს მთელ საზოგადოებრივ განვითარების ინტერესებს. პროფესიონალურ კავშირს კი უწინარეს ყოვლისა მიზნათ აქვს თავისი საკუთარ წევრების მდგომარეობის გაუმჯობესება. რომელსამე კერძო შემთხვევაში ამა თუ იმ პროფ. კავშირს საკუთარ შრომის პირობების გაუმჯობესება შეუძლიან არამც თუ სხვა პროფესიის მუშების დაუხმარებლივ, არამედ ამ უკანასკნელთა ხარჯზედაც.

ცნობილია, რომ როდესაც წარმოების ერთ რომელსამე დარგის მუშათა მდგომარეობა უმჯობესდება, კაპიტალისტები უმალვე ესწრაფიან ეს „დანაკარგი“ აინაზღაურონ მეორე დარგში. ივინი აქ ან აუარესებენ შრომის პირობებს ჲ ან სასტიკათ ეწინააღმდეგებიან, რომ გაუმჯობესება ამ დარგის მუშებზედაც გავრცელდეს. უკეთეს პირობებში მყოფი მუშები მიდრეკილნი ხდებიან მტრულათ შეხედონ მეზობელ პროფესიის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასე მაგ. ინგლისში ერთხელ ნორტუმბერლანდისა და დურგამის მთა-მადნის მუშები დიდათ ეწინააღმდეგებოდენ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, რადგან თვითონ უკვე მოეპოვებინათ 7 საათის სამუშაო დღე და თავისთვის სასარგებლოთ ჰხედავდენ, რომ მომიჯნე პროფესიაში ბავშვებს ათ-ათი საათი ემუშავნათ დღეში. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ პროფესიის მუშები თავის ხელშეუხებელ მონოპოლიათ აცხადებენ განსაზღვრულ სამუშაოებს და ამ ნიადაგზე დავი-დარაბას უტეხენ მეზობელ პროფესიას.

ამ რიგათ, თუ მუშები თავიანთ ცხვირს იქით ვეღარას ჰხედავენ, თუ მათი გონებრივი ჰორიზონტი შემოფარგლულა საკუთარ პროფესიის ჩარჩოებით და ვეღარ სცილდებიან თავის დღიურ, წარმავალ ინტერესებს, მაშინ ექვს გარეშეა მათ დავა და კონფლიქტები არ დაელევათ არა მარტო პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, არამედ აგრეთვე მეზობელ პროფესიონალურ კავშირებთანაც. მაგრამ თვით მრეწველობის განვითარება მუშებს თანდათან ულვიძებს იმ აზრს, რომ დღევანდელი პროფესიები არ შეიძლება იყვენ ისეთივე კარ ჩაკეტილი წრეები, როგორისაც წარმოადგენენ საშუალო საუკუნოების ამქრობა. მანქანები თანდათან სპობენ

პროფესიათა შორის არსებულ კედლებს და ამასთანავე ერთი პროფესიის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ხშირათ საჭირო ხდება რამდენიმე პროფესიის დახმარება, ხოლო კაპიტალისტების უზარმაზარ ეკონომიურ ორგანიზაციებთან გამკლავება კი აუცილებლათ ჰხდის ხოლმე მთელ მუშათა კლასის და ყველა მის ორზანიზაციების ამოძრავებას. მუშათა მდგომარეობის რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესებისათვის უფრო და უფრო საჭირო ხდება საკანონმდებლო გზის მონახვა, მაშასადამე პარტიის დახმარება, სწორეთ ისე, როგორც რაიმე საყურადღებო კანონების გასატარებლათ და სხვა პოლიტიკურ მიზნების მისაღწევათ პარტიისათვისაც საჭიროა ეკონომიურ ორგანიზაციების დახმარება. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ თვით ინგლისის პროფესიონალურ კავშირებმა, ტრედ-უნიონებმა, რომელნიც მხოლოდ წმინდა ეკონომიურ ბრძოლას სცნობდენ მუშებისათვის ხელ საყრელათ, ამ ბოლო ხანებში პოლიტიკური გზა მონახეს და სოციალისტურ პარტიებთან შეთანხმებულ მოქმედების საწარმოებლათ განსაკუთრებული ორგანოც დაიარსეს*)

მეორე მხრივ, პროფესიონალურ კავშირების მიზანს შეადგენენ თავის წევრების არა მარტო ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ აგრეთვე გონებრივი ამაღლება რისთვისაც იგინი აარსებენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ჰმართავენ ლექციებს დ სხ. გონება გახსნილი პროფესიონალი მუშა კი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ შრომის პირობების გაუმჯობესობით, იგი ესწრაფის თავის შრომის მთელს ნაყოფს დაეპატრონოს, რაც შეუძლებელია სხვა გვარათ თუ არ კაპიტალისტურ მონობის, დაქირავებულ შრომის მოსპობით ე. ი. სოციალისტურ წესწყობილების განხორციელებით. ეს კი, როგორც იცით, მიზანია მუშათა კლასიურ პარტიისა. ხოლო ამ საერთო საბოლოო მიზნის წამოყენება განუყრელათ უკავშირებს ერთმანეთს ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელნიც მხოლოდ სხვა და სხვა ორგანოებია ერთისა და იმავე მუშათა მოძრაობისა.

დაგვრჩა განვიხილოთ ერთი კერძო საკითხი. თითქმის ყველგან მუშათა პარტიას მოეპოვება ესა თუ ის დაწესებულება, სადაც ხმარებაშია დაქირავებული შრომა. ასეთია მაგ. პარტიულ ლიტერატურულ ორგანოების გამოცემა. და რადგან პარტიული დაწესებულება ნივთიერათ უფრო ხელმოკლეა, ვიდრე კაპიტალისტური ასეთივე დაწესებულება, ადვილათ შესაძლელია პირველში უფრო მდარე პირობები აღმოჩნდეს შრომისათვის, ვიდრე მეორეში. აქედან იბადება საკითხი: შესაწყნარებელია თუ არა ასეთი მოვლენა ან პროფესიონალურ კავშირებისაგან და ან პარტიისაგან?

ზოგიერთი იმათგანი, ვინც ამას შეუწყნარებლათ სცნობენ, მიგვითითებენ იმ გარემოებაზე, რომ თუ მაგ. პარტიულ გაზეთზე მომუშავე ამწყობებს პროფესიონალური კავშირი ნებას მისცემდა იმაზე ნაკლები ხელფასი ეღოთ, რასაც ბურჟუაზიულ გაზეთებზე მომუშავენი იღებენ, ამით დაირღვეოდა პარტიული ნეიტრალობა, რაც უეჭველი პირობაა პროფესიონალურ კავშირების ზრდა განვითარებისათვისო.

დღეს ჩვენც მტკიცე მომხრე ვართ პროფესიონალურ კავშირების პარტიულ ნეიტრალობისა, მაგრამ მოხსენებულ მოსაზრებას მაინც ვერ დავეთანხმებით. საქმე ის არის, რომ პარტიული ნეიტრალობა სრულებითაც არ ნიშნავს პარტიულ გულ-გრილობას. მართალია, პროფესიონალური კავშირი ღია უნდა იყოს ყველა პოლიტიკურ რწმენის მუშებისათვის, მაგრამ რაკი კავშირს არ შეუძლიან პოლიტიკის გარეშე დარჩენა, ცხადია, მას არ შეუძლიან თავის მოქმედებაში ყველა პარტიებს თანაბრათ უყურებდეს. ცხადია იგი სასწორს გადახრის განსაზღვრულ პარტიისაკენ და ეს პარტია ვერ იქნება სხვა რომელიმე თუ არ მუშათა პარტია. როდესაც კავშირს თავის ეკონომიურ მიზნებისათვის დასჭირდება პოლიტიკური პრესა, იგი უეჭველია მიმართავს სწორეთ ამ პარტიის პრესას; როდესაც მას დასჭირდება თავისი საქმის დაცვა საკანონმდებლო კრებაში, ან თვითმართველობის ორგანოებში, პროფესიონალური კავშირი, უეჭველია, მიმართავს ამავე პარტიის დეპუტატებს.

მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრს ვადგივარ, რომ პარტიულ დაწესებულებაში მუშების მდარე პირობებში მუშაობა არ არის დასაშვები და შესაწყნარებელი არც პარტიისათვის და არც პროფესიონალურ ორგანიზაციებისათვის, და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ეს მოვლენა დიდ საფრთხობს წარმოადგენს შეუგნებელ მუშებისათვის, რომელთა შემოერთება უპირველესი საზრუნავი საგანი უნდა იყოს როგორც პარტიისათვის, ისე კავშირებისათვის. და ეს მით უფრო უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნულ მოვლენას ბურჟუაზიის იდეოლოგები დაუშრეტელ სადემაგოგიო მასალათ ხმარობენ შეუგნებელ თუ ნახევრათ შეგნებულ მუშათა გზა-კვალის ასაბნევათ. აი ამიტომაც განვითარებულ ქვეყნებში პარტიულ დაწესებულებებში შრომის პირობები არამც თუ უარესი არ არის, არამედ ზოგჯერ უკეთესიც არის, ვიდრე მზგავს კაპიტალისტურ დაწესებულებებში. ასე მაგ. ბელგიის მუშათა პარტიის ზოგიერთ კოოპერატივებში 8 ს. სამუშაო დღე შემოღებულ იქმნა იმ დროს, როცა ბურჟუაზიულ დაწესებულებებში სამუშაო დღე 11 საათსაც აღემატებოდა.

ერთად ერთი საშუალება მოხსენებელ შეუწყნარებელ მოვლენის თავიდან ასაცილებლათ არის პარტიულ ორგანიზაციის გაძლიერება და პარტიულ წევრების ზნეობრივ-გონებრივი ამაღლება. თვითეული წევრი

*) 1900 წ. 27 თებერვალს ლონდონში მომხდარ „Graet Lebour Conference“ („შრომის დიდი კონფერენცია“) რომელსაც დაესწრენ ყველა სოციალისტური ორგანიზაციების და ნახევარ მილიონი პროფესიონელურათ შეკავშირებულ მუშათა დელეგატები, ხსენეაულ მიზნისათვის არჩეულ იქმნა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც შედიან 7 დელეგატი პროფესიონალურ კავშირებიდან და ხუთი სოციალისტურ ორგანიზაციებიდან.

თავის წმინდა ზნეობრივ მოვალეობათ უნა სთვლიდეს პარტიულ ლიტერატურის კითხვას.

ლ. კანდელი.

# უტოპისტები და მარქსის მოძღვრება

## II.

რევოლუციის შემდეგ სენსიმონმა დაიწყო ბუნებისმეტყველების საფუძვლიანათ შესწავლა; შემდეგ ხელი მოჰკიდა საექიმო მეცნიერებას. ამ დროს ის ორმოცის წლისა იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერების სხვა და სხვა დარგმა დიდი ნაბიჯი წასდგა წინ, ხოლო ნაყოფი კი ამისი შესაფერი არსად იყო. ამიტომ სენსიმონის მიზანი იყო მთელი მეცნიერების საფუძვლიანი შესწავლით შეექმნა ისეთი საერთო მეცნიერება, რომელიც ხელს შეუწყობდა სხვა და სხვა აღმოჩენებს და ცხოვრებას შესამჩნევათ გააუმჯობესებდა. მარტო მეცადინეობა სენსიმონს საკმაოთ არ მიაჩნდა ამ მიზნის განსახორციელებლათ; საჭირო იყო მუდამ მეცნიერთა შორის ყოფნა. ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოთ მაშინ, თუ მისი ოჯახის კარი მუდამ ღია იქნებოდა მეცნიერთათვის. ოჯახისათვის კი საჭირო იყო, სენსიმონის აზრით, ცოლი. ამიტომ სენსიმონი დაქორწინდა და მალე იმის სახლი გადიქცა დიდ კლუბათ, სადაც თავს იყრიდენ მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მექანდაკენი, მემუსიკენი, საზოგადო მოღვაწენი, ერთის სიტყვით მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელნი მთელს პარიზში. იმართებოდა მსჯელობა, კამათი, აზრების გაცვლა-გამოცვლა და ამგვარათ სენსიმონი თანამედროვე გონებრივი ცხოვრების სათავეში ჩადგა, მაგრამ ეს ნაბიჯი ძალიან ძვირათ დაუჯდა: რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი თავისი საცხოვრებელი გაქრო. დარჩა ცოტაოდენი ფული, რომლითაც მან შემოიარა გერმანია, ინგლისი და სამშობლოში რომ დაბრუნდა, პურის ფული აღარა ჰქონდა. პარიზის ერთ დაწესებულებაში იშოვნა უბრალო მწერლის ადგილი, დღეში ათი საათი მუშაობდა და იღებდა თვეში სამ თუმანს. ამგვარ მდგომარეობაში მან გაატარა ექვსი თვე. მისი ძველი მეგობრები, რომლებსაც იმის მდიდარ სახლში არა ერთხელ და ორჯერ გაუტარებიათ დრო და იმისი ფულებითაც ბევრჯე უსარგებლნიათ, არა თუ აღარ ეკარებოდენ და არა ჰკადრულობდენ, ქუჩაში თვალს არიდებდენ! ექვსი თვის შემდეგ ის მონახა ერთმა მეგობარმა, დიარმა, რომელსაც გაეგო სენსიმონის გაჭირვება, დააბინავა თავის სახლში და აღუთქვა: განაგრძე მუშაობა მწერლობის ასპარეზზე და ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენო. სენსიმონმა მართლაც სულ მოკლე დროში რამდენიმე თხზულება გამოსცა სამეცნიერო შინაარსისა. სენსიმონი დარწმუნებული იყო: მეცნიერები მალე მიაქცევენ ჩემს ნაწერებს ყურადღებას და მე სახელი გამივარდებაო, მაგრამ მეცნიერები მისი ნაწერების კითხვით თავს არ იწუხებდენ. დიარი მალე გარდაიცვალა და სენსიმონი ისევ ცის ქვეშ დარჩა ულუკმაპუროთ. მიუხედავათ ამისა ის მხოლოთ მეცნივრებაზე ჰფიქრობდა, სწერდა და სწერდა. გამოსცა რამდენიმე თხზულება; კიდევ არავინ არ მიაქცია ყურადღება. სენსიმონს წიგნების გამოსაცემი ფულიც აღარა ჰქონდა; გამომცემელს კი ვერა შოულობდა. პურის ფული შემოელია; მთელი სამი დღე ხშირათ უჭმელი იყო. შეშა აღარა ჰქონდა, ცივ ოთახში იჯდა და სწერდა. ქაღალდი და მელანიც გამოელია; მაშინ სენსიმონმა ტანისამოსი გაჰყიდა, იყიდა ქაღალდი და მელანი და განაგრძო წერა. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა 1813 წ. ამ წელს მან დასწერა ერთი თხზულება და ნაპოლეონ პირველს გაუგზავნა; ნაპოლეონი ჭკვიანი კაცია და ჩემს ნიჭს დააფასებსო, ჰფიქრობდა სენსიმონი. ნაპოლეონმა გადაიკითხა სენსიმონის მეცნიერული თხზულება, ბევრი ვერაფერი გაიგო და კარისკაცებს გადასცა: წაიკითხეთ და თქვენი აზრი შემატყობინეთო. მათაც წაიკითხეს და ნაპოლეონს მოახსენეს: ექვს გარეშეა, თქვენო უდიდებულესობავ, შეშლილის დაწერილია, მაგრამ წყნარი შეშლილობით კი ყოფილა შეპყრობილიო! ნაპოლეონმა სენსიმონი უყურადღებოთ დასტოვა. ამის შემდეგ სამეცნიერო წიგნების წერას სენსიმონმა თავი დაანება, თავის მწერლობის საგნათ საზოგადო ცხოვრება გაიხადა, დააარსა ჟურნალი და დაიწყო შიგ სოციალურ კითხვებზე წერა.

სენსიმონის ნიჭის შესაფერისი სწორეთ ეს დარგი აღმოჩნდა. მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია, ცხოვრებას სათავეში ჩაუდგა და დიდი გავლენა მოიპოვა. სანამ ძლიერი იყო ჯერ კიდევ ძველი წყობილება, სენსიმონი მას ებრძოდა, მთავრობას და თავად-აზნაურობას ჰკიცხავდა. თავადაზნაურობას რომ წარსულში სამშობლოს წინაშე ღვაწლი მიუძღოდა, ამას სენსიმონი არ უარჰყოფდა, ხოლო აწმყო ცხოვრებისათვის ის სრულებით უსარგებლო წოდებათ მიაჩნდა და ბურჟუაზიას გაცილებით მაღლა აყენებდა. თავად-აზნაურობამ რამდენჯერმე სთხოვა სენ-სიმონს: თუმცა წოდებრივის უფლებებით არასოდეს არ გისარგებლნია, მაგრამ შენ თვითონ თავადიშვილი ხარ და ამ წოდების წინაალმდეგ ნუ სწერო მაგრამ სენსიმონს ალაპარაკებდა რწმენა და არა ვისიმე პირადი მტრობა; რწმენას კი ის არასფერზე არ გასცვლიდა და არც დამალავდა. თავად-აზნაურობა თუმცა გადიმტერა სენ-სიმონმა, მაგრამ სამაგიეროთ ბურჟუაზია იმის ნაწერებს იტაცებდა.

საწარმოვო რევოლუცია, რომელსაც მე ზემოთ შევეხე, სენ-სიმონის თვალწინ ხდებოდა. კაპიტალისტები მდიდრდებოდენ, მუშა ხალხი კი ღატაკდებოდა და ხშირათ სამუშაოსაც ვერა შოულობდა. სენ-სიმონმა ამ საწარმოვო რევოლუციაში მუშა ხალხის მხარე დაიკავა და გამოაცხადა: ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ ღარიბების ინტერესების დასაცავათ და ცხოვრების მოსაწ-

ყობათ ღარიბების საკეთილდღეოთო. მან აამაღლა ხმა მუშა ხალხის სასარგებლოთ, მოითხოვა მისთვის პენსიის დაარსება, სადგომების აშენება, შრომის უზრუნველყოფა ისე, რომ ყოველ მუშას სამუშაო ჰქონოდა, ქირის მომატება, სამუშაო დროს შემოკლება და სხვ. — აა, მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ღარიბების გამოსარჩლებაო, დააკრაჭუნა კბილები ბურჟუაზიამ და არც ერთმა იმისმა წევრმა სენსიმონის ჟურნალი აღარ გამოიწერა. მწარმოებლები აქამდე სენ-სიმონს პირველ მამულის შვილს ეძახდენ, საუკეთესო ფრანგს, დიდებულ ნიჭს, ბრწყინვალე მწერალს, — ახლა კი იმისი ლანძღვაგინების მეტს არას აკეთებდენ, გიჟს, ჩერჩეტს, გამოტვინებულს, გარყვნილს, უნიჭოსა და მამულის დამღუპველს ეძახდენ. სენ-სიმონს ჩამოშორდენ ხელის მომწერლები, ის იძულებული გახდა, ჟურნალი დაეხურა. ისეთ გაჭირვებაში ჩავარდა, რომ თავის მოკვლა განიზრახა და რევოლვერი იკრა შუბლში. თვალი გაიფუჭა და სიკვდილს კი გადაურჩა.

სენსიმონის ქადაგებამ უნაყოფოთ არ ჩაიარა. მას მალე გამოუჩნდენ თანამოაზრენი და მოწაფენი, რომლებმაც თავი მოიყარეს თავისი მასწავლებლების გარშემო, დაეხმარენ მას, დააარსეს ისევე ჟურნალი და სენსიმონის მეთაურობით ახალმა ძალებმა დაიწყეს შიგ წერა. ამავე დროს მუშებმა კავშირები დააწესეს კაპიტალისტებთან სისტემატიურათ საბრძოლველათ. სენსიმონის ჟურნალი თანდათან გავრცელდა კავშირებში და ინტელიგენციაში. სენსიმონის სახელი მთელს ევროპას მოედვა; იმის დიდებულ ბუნებას, კაცთ მოყვარე გულსა და ძლიერ ნიჭს აღარავინ აღარ უარჰყოფდა. მან ხელი აიღო თავადიშვილობაზე. მთელი თავისი სიმდიდრე თვით-განვითარებას მოანდომა; ხშირათ ლუკმა-პური უჭირდა, მაშინ როდესაც მას ერთი საუკეთესო ალაგი უნდა ჰკავებოდა სახელმწიფოში, სამსახურისათვის რომ თავი არ დაენებებია; მთელი თავისი სიცოცხლე გონებრივ მუშაობაში და სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ძებნაში გაატარა და ბოლოს თავის მოწაფეთა მჭიდრო წრეში კმაყოფილება მოიპოვა. სენსიმონი გარდაიცვალა 1827 წელს. სიკვდილის წინ ის მიუბრუნდა თავის მოწაფეებს და სთხოვა: მუშა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას ეცადეთო; თანვე დაუმატა: ნუ დაივიწყებთ ამას და გახსოვდეთ, რომ მხოლოთ ძლიერი შრომა ჰქმნის დიად საქმეებს, მომავალი ჩვენიაო.

**ივ. გომართელი.**

(შემდეგი იქმნება).

# საფლავის ტყვეს

—:—

აღარ ვღოცულობ! შავს საფლავში
რწმენაც დავმარხე შენთან ერთადა.
მას შემდეგაა იჭვმისეული
სრულად არ იღტვის გული ზეცადა!

მწუხრის ლოცვაზე როს გისმენ ზარებს,—
თითქოს მტოვებენ, იწვევენ სხვებსა,—
მე სურათს ვიდებ, ვხედავ შენს სახეს,
დაუსრულებლივ ვაფრქვევ ცრემლებსა!

—

მარად ვატარებ, სულ თან ვატარებ..
ზედ აწერია შენი სახელი...
თუმც საფლავში ხარ, ის არ იცვლება,
რწმენით აღსავსე, სახე ნათელი!

—,

აღდგომა ღამეს სასაფლაოზე
სანთლებს უნთებენ მიცვალებულებს:—
მე აღარ მოვალ... ჩემო ძვირფასო,
დე, შენ საფლავზე ისევ ბნელოდეს!

—

ეგ ურჩი სულის გამოთქმა იყოს,
მეუფის კარად გადასატანი,
რომ აქ კვლავ ბნელა მოშხამულ გულში,
რომ წყვდიადში ხარ ტრფობის საგანი!..

**იასამანი.**

# წერილი პარიზიდან

—:—

**ფოსტა-ტელეგრაფას მოხელეთა გაფიცვა. — გაფიცვის გამარჯვებით გათავება. *)**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

19 მარტს შეიკრიბა პარლამენტი განსაკუთრებით გაფიცვის შესახებ. გარეგნულათ ცენტრი და მისი ამყოლ-ჩამყოლი ნაწილი მინისტრებითურთ თავს კარგათ გრძნობდა. სოციალისტური ფრაქცია იერიშით მივიდა კლემანსოს მთავრობაზე და ორი წლის სიმიანის „ლვაწლი“ გამოამზეურა. სიმიანი მოურიდებლათ იძრობდა ფრაქციის მიერ მაგრათ ჩასობილ ნემსებს და იშოშმინებდა ჰრილობებს იმით, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ მაგარი სიტყვებით იხსენიებდა. ასეთ სიტყვებითა და ინსინუაციებით თვით მინისტრმა ბარტუმ კარგა ხანს იმჟერმეტყველა და ისე დაათრო მით ცენტრი, რომ ამ უკანასკნელმა მოითხოვა მისი სიტყვის დაბეჭდვა და ქუჩებში გაკვრა. პარლამენტმა ეს მოთხოვნილებ დააკმაყოფილა, მიუხედავათ სოციალისტურ ფრაქციის სასტიკი პროტესტისა. იმავე ღამეს გაიმართა დიდი მიტინგი გაფიცულთა. გაკიცხეს ბარტუ და დაადგინეს ბარტუს აფიშის საწინააღმდეგო აფიშის გამოშვება. მეორე დღეს შეგეძლოთ წაგეკითხათ ქუჩაში ბარტუს აფიშასთან ერთათ მისი გვერდით მისი საწინააღმდეგო აფიშა. პროვინციაში გაფიცვა სულ უფრო ფართოვდებოდა. იმართებოდა აგრეთვე რკინის გზის ტელეგრაფისტთა დიდი მიტინგი გაფიცულთა სოლიდარობისა და თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ. დელეგაციების რიცხვი სულ თან-და-თან მატულობდა. მალე უკვე

*) დასასრული.

რამდენიმე ათი-ათასი ფრანგი იდგა გაფიცვის კომიტეტის ხელმძღვანელობის ქვეშ. გაფიცულთა ბანაკი თავს ჩინებულათ გრძნობდა. მოწინააღმდეგე ბანაკი შეშინებული მზათ იყო კაპიტულიაციაზე, მაგრამ უნდოდა ეს იმ გვარზთ მოეხერხებინა, რომ მისი პრესტიჟი არ დაცემულიყო. როიალისტების გაზეთები დაფეთებული ყვიროდენ—„კიდევ ერთი დღე და დაიწყება რევოლიუციონური ანარქია, გვიშველოთო!“ რენეგატების გაზეთები, მაგალითად „ორორი“ და სხვა გაფიცვის გამოწვევას სოციალისტებს აბრალებდენ და ხალხთან აბეზღებდენ—„აი, შეხედეთ ვინ იწვევს ანარქიას, ვინ აგდებს ხალხის კეთილდღეობას საფრთხეშიო“ „აკსიონი“ (მემარცხენე რადიკალების ორგანო)--ეს კლემანსოს დიკტატურაა-ეს რესპუბლიკის გადმობრუნებააო“. „ჰუმანიტე“, რომელსაც ყოველი მხრით უხდებოდა ბრძოლა, ბრძოლით გატაცებული პატეტიურათ უძახდა—„არაა მეფე საფრანგეთში. კლემანსო არ არის მეფე! რაებს ჩადის? ფოსტა-ტელეგრაფის ასი-ათასი პროლეტარის ინტერესებზე მაღლა აყენებს სიმიანის პიროვნებასო! ძირს კლემანსო!“ ასეთი იყო გაზეთები, ასეთი იყო ქუჩები.

ორშაბათს დილით კლემანსო ღებულობს გაფიცულთა დელეგაციას და ჰპირდება ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოკლე ხანში, სიმიანის დათხოვნის გარდა. მოსალოდნელი იყო, რომ დღეს მუშაობას დაიწყებდენ გაფიცულები. მაგრამ კლემანსომ ნაშუადღევს პარლამენტის ტრიბუნიდან, რომელზედაც ის ავიდა ჩაშავებული და ნახევრათ მიცვალებულის სახით, დილის დანაპირები ისევ უკან წაიღო; დაიცო სიმიანი და უარი განაცხადა მის დათხოვნაზე. ამის შემდეგ მან დასტოვა ტრიბუნა და ბებრულის ნაბიჯით, რომელიც ეხლა უფრო გამოაჩნდა, გავიდა დარბაზიდან. საქმე ისევ გამწვავდა. ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულთა მიტინგმა კლემანსოს იმავე საათში უპასუხა და დაადგინა განაგრძონ გაფიცვა. პარიზის ცა კიდევ მოიქუშა ეხლა ბურჟუაზიული წრეები უფრო ძლიერმა შიშმა აიტაცა პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე ცენტრი ვეღარ იჩენს პარასკევის გაბედულობას. სიმიანი თავჩაქინდრული ზის, ხან უნებლიეთ წამოიჭრება ზეზე და ისევ ჩაჯდება. ბარტუც ვეღარ ენაწყლიანობს, ძალა ღალატობს. სოციალისტები ამაყათ სხედან თავიანთ სავარძლებში და სტკბებიან მათი მოწინააღმდეგების ზნეობრივი დამარცხებით. 23 მარტს, სამშაბათს კლემანსო დაღლილ-დაქანცული კვლავ ღებულობს დელეგაციას და ეხვეწება—„დაიწყეთ, ღვთისგულისთვის, მუშაობა, რაც დაგპირდით, ყველა ასრულებულ იქნება... გაიგეთ მდგომარეობა!.. რომ არ გინდათ მიხვდეთ... სულ მოკლე ხანში სიმიანიც აღარ იქნება!“ ასე კლემანსომ დაჰყარა იარაღი და ტყვედ დარჩა ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატის შეერთებულ ძალას. დღესვე გაფიცულთა საერთო მიტინგმა განიხილა კლემანსოს პირობები და დაადგინა მოხსნას გაფიცვა, და როცა გარემოება მოიტანს, მზათ იყოს ბრძოლისათვის; საერთაშორისო პროლეტარიატს უძღვნა პროლეტარული სალამი და ინტერნაციონალის სიმღერით მიტინგი დაიშალა. გაფიცვის კომიტეტმა პროვინციის გაფიცულთა კომიტეტებს იმავე წამს დეპეშით შეატყობინა საქმის გარემოება. საღამოს ერთ და იმავე საათს საფრანგეთის ყველა ფოსტა-ტელეგრაფებში გაჩაღდა ჩვეულებრივი სიცოცხლე. პარიზმა კვლავ ამოისუნთქა თავისუფლათ. მოკლე ხანში, შეიძლება, სიმიანმაც სამსახურს თავი დაანებოს.

პარიზის ფოსტა-ტელეგრაფის სამმა სინდიკატმა 24 ორშაბათს ქუჩებში გააკრა აფიშა. „გმადლობთ!

სიმიანის მტრობამ, გაუთლელობამ და უმწვერვალესმა თვითნებობამ (antoritasisme) მიგვიყვანა იმ წერტილამდე, რომ შეგვეწყვიტა მუშაობა.

დღეს, ისევე მწყობრათ და საქმის სიყვარულით, როგორც გუშინ, გადავსწყვიტეთ შევუდგეთ ჩვენს ჩვეულებრივ მუშაობას.

ჩვენ აღარ ვსცნობთ სიმიანს უფროსათ. ჩვენ აგვითქვეს, რომ გაუქმებულ იქნება კვირაობით მუშაობა.

ეს კანონიერი დაკმაყოფილებაა უფლებისა წინაღმდეგ თვითნებობისა.

ეხლა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა გამოვუცხადოთ თანამოაზრეებს მხურვალე მადლობა დაუფასებელ მხარის დაჭერისათვის.

დაივიწყა რა ზარალი, რომელიც იძულებით მივაყენეთ ჩვენ, საზოგადოება თითქმის როგორც ერთი ადამიანი ამართლებდა ჩვენს საქციელს.

ვინც ჩვენ თანაგვიგრძნობდა და კეთილი სურდა, ჩვენ მათ გულწრფელათ ვეუბნებით: გმადლობთ.

ჩვენ ერთგული და წრფელი შრომით ვეცდებით, ყოველთვის დავიმსახუროთ საზოგადოების პატივისცემა.

ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი მოწყობილ უნდა იქმნას, როგორც საამღებ-მიმცემო წარმოება. ჩვენ ვცდილობთ სამსახურის პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე მივცეთ კლიენტთ ახალ-ახალი შეღავათი და აგრე ხელი შევუწყოთ საზოგადო,სიმდიდრის აღორძინებას. ჩვენ არა ვართ მანქანები. ჩვენი სურვილია გვიყვარდეს ჩვენი შრომა, რომელმაც უნდა უზრუნველ ჰყოს ჩვენი კეთილდღეობა და თავისუფლება.

გაფიცვის კომიტეტი არაა გაუქმებული. ის არსებობს, როგორც კომიტეტი მოდარაჯე და ფოსტა-ტელეგრაფის სამმა ასოციაციამ მიანდო მას, რამდენათ შესაძლებელი იქნება, შეაერთოს ერთ ფედერაციით მთელი საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის პროლეტარიატი“

ამ აფიშამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ აღაშფოთა კლემანსო. მან მეორე დღეს პარლამენტის ტრიბუნიდან მოითხოვა ამ აფიშის ავტორების დასჯა. მაგრამ ზემო აღნიშნულმა სინდიკატებმა ყველამ ერთათ აღიარეს თავიანთ თავი აფიშის ავტორათ და მედგრათ შეხვდენ კლემანსოს გამოლაშქრებას. ამ გარემოებამ ატმოსფერა შესცვალა. გაზეთები აღარ ფარავენ და აშკარათ აღიარებენ, თუ კლემანსომ თავისი გაიტანა, ფოსტ-ტელეგრაფი ისევ გაიფიცება, და ეს გაფიცვა არ იქნება უბრალო გაფიცვა, არამედ ის გადაიქცევა რევო-

ლიუციათო. თითქმის გაზეთების გარეშე მდგომი საზოგადოებაც ამ აზრისაა. ყველა გულის ფანცქალით მოელის თუ რით გათავდება კლემანსოს ახალი გალაშქრება ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატის წინააღმდეგ.*)

**არისტიდი.**

*) დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ საქმე გათავდა კომპრომისით. 26 მარტის სხდომაზე მინისტრმა ბარტუმ განაცხადა, რომ ჯერჯერობით გაფიცვის მონაწილეთაგან ვისიმე დასჯაზე ლაპარაკიც არ შეიძლება; უმალ მოხდება გამოძიება და თუ აღმოჩნდა, რომ მოხსენებული აფიშე თუ პროკლამაცია გამოუშვიათ გაფიცვის გათავებამდე და არა შემდეგ, მაშინ არავინ არ იქმნება დასჯილიო. მაგრამ ყველამ კარგათ იცოდა, რომ ხსენებული პროკლამაცია გამოუშვეს სწორეთ გაფიცვის გათავების შემდეგ, რასაც კარგათ მოწმობს თვით მისი შინაარსი. ცხადია, რომ მთავრობამ დაუთმო ოპოზიციას, დაუთმო ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატს, და ამ დათმობის გამოსაცხადებლათ აირჩია ზემო მოყვანილი ფორმა, რათა ამ რიგათ დაეცვა მთავრობის ვითომ პრესტიჟი.



უსახლ-კარო.

შემდეგ დეპ. შენიამ წარადგინა მორიგ საქმეთა გადასასვლელი შემდეგი ფორმულა, რასაც მიემხრო თვითონ კლემანსოც: „პალატა ადგენს სახელმწიფო მოხელე—მოსამსახურეებს მიეცეს კანონიერათ შემუშავებული სტატუტი, რომლითაც მოხელე-მოსამსახურეთათვის ფორმალურათ უარყოფილი იქნება გაფიცვის უფლება, და მთავრობას უცხადებს ნდობას“. ეს ფორმულა მიღებულ იქმნა 301 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 237 ხმისა.

ოპოზიციის აზრით ეს გამარჯვება კლემანსოს კაბინეტისათვის პიროსის გამარჯვებაა.

**რედ.**

*
* *

ღამეა... ცაზე ვარსკვლავნი
არ ციმციმებენ წყნარად,
არც მთვარე აფრქვევს მკრალ ნათელს
გულისა გასახარად.

—

წყვდიადს მოუცავს მთა ბარი,
სინათლის სხივი აღარ სჩანს,
ყველგან სიჩუმე... დუმილი,
ფრთა გაუშლია კაეშანს...

—

გული კი... გული ვერ ითმენს,
სიჩუმეს არ-როს ჩვეული,
და წინ მიილტვის, არ სდრკება
სევდის ნისლ-შემოხვეული.

—

ჰლამობს, რომ ძალით დაამხოს
გამეფელი წყვდიადი
და განთიადზე იხილოს
მზეი ბრწყინვალე, დიადი...

ხაშმელი

# შალვა.

## I

ივლისის პირველი რიცხვები იყო. საშინლათ ცხელოდა. ხარბინის მტვრიან ქუჩებზე ფაიტონების ხშირი წოლმა უკულმა ხრიგინით საშინელი ბული იდგა. უცებ ქარმა წამოუბერა, რაიც ხარბინში ხშირი სტუმარია, და ისეთი მტვერი ააყენა, რომ ქუჩაში გავლა შეუძლებელი იყო. ბევრმა მახლობელ სახლებში და სასტუმრო სასადილოებში შეაფარა თავი. ნერწყვ გამშრალი ხალხი ვინ ლუდს თხოულობდა და ვინ რას ..

— მეც მომიტანე „ხლებნი კვასი“ — უთხრა მოსამსახურეს ერთმა 27—28 წლის ყმაწვილმა კაცმა, იქვე კუთხეში სკამზე ჩამოჯდა და მაგიდაზე დადებულ გაზეთს უაზროთ დაუყყო თვალიერება. ყინულში ჩაცივებული კვასით გამშრალი ხახა გაისველა, თავზე ორივე ხელები შემოიდგა და, თითქოს კითხულობსო, გაზეთს დააშტერდა.

— სა გადავიკარგო!.. გზის ფული მაინც მქონდეს, რომ გავშორდე ამ წყეულ ქალაქს...— ფიქრობდა ის.

— ცოლ-შვილიანი მაინც არ ვიყო, თუმცა ჯვარ ნაწერი არ არის, მაგრამ სულ ერთია. ორი დღეა ბავშვებისათვის პური არ მიმიტანია!.. რომ არავინ გამიგებდეს, მოვიპარავდი რამეს... მაგრამ რას ვამბობ, გუშხამ არ იყო თონიდან პური რომ მოვიპარე და დამიჭირეს?.. კიდევ კარგი, რომ მედუქნეს შევებრალე: პრისტავს სთხოვა და გამიშვა, თორემ მაგისთვის ეხლა ჩამომჭრჩვალი ვიქნებოდი... რას იზამ, სამხედრო წესებია!.. ნეტავი მაშინ ჩამოვეხრჩვე ვინმეს... ეხლა მოსვენებული და თავისუფალი ვიქნებოდი... ჯამუშათაც აღარ მიმიღეს... ვაკანსია არ არის, მაგ ალაგის მთხოვნელი ეხლა ბევრიაო!.. კარგი, რომ არ მიმიღეს, მაგ ხელობით თავის რჩენას ისევ შიმშილით სიკვდილი სჯობია. აღარც სჯულის გამოცვლამ მიშველა... (ის მონათლული ურია იყო, როცა სხვა და სხვა ქალაქებიდან ურიებს სდევნიდნენ, მაშინ მონათლულიყო.)— არა, ასე ცხოვრება აღარ შემიძლია... ფიქრობდა ილუშა. ამ ყმაწვილი კაცის სახელი ილუშა იყო. მოდი თავს მოვიკლავ... გადავვარდები სუნგარაში და ყველაფერი უცებ გათავდება... რა უსინდისობაა, კაცს მუშაობა გინდოდეს და სამუშაო ვერ იშოვნო!.. სიცოცხლე გწყუროდეს და... აქ ილუშას გული ამოუჯდა, დიდრონ შავი თვალებიდან ორი მსხვილი ცრემლები გადმოუგორდა და გაზეთს დაეცა.

— აბაზის პური მთელ ოჯახს გვეყოფოდა დღეში... იმ წყეულს რომ არ წაერთმია ნამსახური... ორასი მანეთი ეხლა ჩემთვის ორი ათასი მანეთია, მთელი სიცოცხლეა... ეჰ, ყველაფერი გათავებულია, მეტი გზა აღარ არის, თავი უნდა მოვიკლა... უპუროთ სახლში მისვლა აღარ მიწერია... რა კარგი იქნებოდა, სადმე სამუშაო რომ გამოჩენილიყო. სიკვდილს ხომ გადავრჩებოდი!.. აბაზათ დილიდან საღამომდის ვიმუშავებდი. აბაზის პური ყველას გვეყოფოდა და ღამეს ქუჩაშიც კი გაათევდა კაცი... იმუშავე და გექნებაო—ამბობენ ზოგიერთები... მომეცით თქვენ წყეულებო სამუშაო... ვინ არის, რომ უარს ამბობს... მომეცით სამუშაო. არც ერთი მაღაზია, არც ერთი მოსახლე არ დამიტოვებია, რომ სამუშაო არ მეთხოვნოს... ნეტავი რას იზამს დუნია ან ჩემი ბავშვები ჩემი უგზო-უკვლოთ დაკარგვის შემდეგ!.. ვაი თუ იმანაც თავი მოიკლას და ბავშვები მარტოდ მიატოვოს .. მაგრამ არა, დედის გული კიდევ სხვაა, ის თავს ვერ მოიკლავს. მე მგონია, ქუჩაში დაიწყებს ვაჭრობას, ან დიდ ოჯახში შევა და ბავშვებს მაინც გამოზრდის.

ახალგაზრდა კაცი დიდხანს იყო თავ ჩაქინდრული. კვასი გამთბარიყო, დალევა კი დავიწყებოდა. უცებ, თავისდა უნებურათ, გაზეთში შემდეგი განცხადება წაიკითხა: „საჭიროა რკინის გზის ბილეთი, ხარბინიდან თბილისამდე, ბათომამდე ან ბაქომდე. ადრესი რედაქციაში, შალვა კეთილაძეს.— კეთილაძე—გაიმეორა მან და განცხადება კიდევ წაიკითხა. ეს ალბათ ის არის, ივანოვთან რომ მსახურობდა კანტორაში. იმან ხომ ხუთასი მანეთი მიიღო ამ სამი დღის წინეთ... აქ მას რაღაც საიდუმლო აზრმა გაუელვა თავში და კვლავ ჩაფიქრდა.—თუმცა ძნელია, უსინდისობაა, მარა მეტი გზა არ არის... ხუთი კაცის შიმშილით სიკვდილს ერთი კაცის დაკარგვა სჯობია... ღმერთმა კი იცის, რომ ჩემი ბრალი არ არის... რატომ ხუთი მანეთის მეტი არ მომცა, ხომ იცოდა მშიერი ვიყავი.—სთქვა მან და თითქოს ამ ცუდი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა იპოვაო, თავი მაღლა ასწია. მის გარშემო ხალხი სადილობდა. ილოს პირში ნერწყვი მოადგა. მასაც ძალიან მოუნდა ჭამა. მაგიდაზე თითი დააკაკუნა.—მომიტანე

მარტო პირველი—უთხრა მან მოსამსახურეს. ამ ფიჯაკსაც დავაგირავებ,—სთქვა მან.—სადილსაც ვჭამ და ბავშვებსაც რამეს წავუღებ. ხვალ ფული მექნება და გადავუხდი. ორი ღლის უჭმელი ბორშჩს ხარბათ მიაძგა და სახლშიაც დიდი გოგორა პური და ერთი გირვანქა შაქარი წაიღო. სასადილოს პატრონს კი თეთრი ჩეშუჩის ფიჯაკი დაუგირავა. ხვალ საღამოს უთუოდ მოგიტან ფულს და ფიჯაკს წავიღებო,—უთხრა ილომ სასადილოს პატრონს.

მოჰკრა თუ არა თვალი პურით სახლში მიმავალ მამას ილუშას უფროსმა ვაჟმა, სიხარულით აღტაცებული კარებშივე მიეგება.—პუი, პუი—მიაძახა მან და მოეხვია. ცოლიც და შვილებიც ხარბათ მიაძღენ ღ^უზელივით თეთრ პურს. შიმშილისაგან მისუსტებულნი, ცოტა მოღონიერდენ. ჩაის დალევა პურის ჭამის შემდეგ მოაგონდათ.

— დუნია! ჩვენ ხვალ ბევრი ფული გვექნება – უთხრა ილუშამ თავის ცოლს.

— როგორ, ივანოვი ხომ არ გაძლევს ნამსახურს?— შეეკითხა ქმარს გახარებული დუნია.

— თავის ნებით ჩვენ ფულს არავინ არ მოგვცემს, ამიტომ ძალათ უნდა წავართვათ, გესმის, ძალათ!.. ხმის ამაღლებით და გულის მოსვლით სთქვა ილუშამ.

— მერე დაჭერის არ გეშინია? — გაკვირვებით შეეკითხა ცოლი.

— თუ შენ არავის ეტყვი, ისე ვერავინ გაგვიგებს და ვერც ვერავინ დაგვიჭერს.

— შენ იცი — უთხრა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ცოლმა.

— გესმის, დუნია, ის კაცი აქ მოვა.

— ხომ არ გაგიჟდი!... აქ რა უნდა?! ან როგორ გენდობა?... გაკვირვებით იკითხა დუნიამ.

— შენ იმას ნუ კითხულობ. ფრთხილათ იყავი მხოლოთ და კრინტი არავისთან დაძრა.

— არაფერი არ მესმის. ხომ იყვირებს? მერე დაგვასმენს, დაგვიჭერენ და დაგვახრჩობენ...

— რაღას დაგვასმენს, როცა მოვკლავთ. — ამ სიტყვებზე დუნია შეკრთა.

— ილუშა, ეს არ სთქვი?! — თითქოს ყურებმა მოატყუაო, კვლავ შეეკითხა დუნია ქმარს.

— კაცი უნდა მოვკლათ, გესმის, კაცი უნდა მოვკლათ, —უფრო მტკიცეთ გაიმეორა ილუშამ.

— მაშ აღარ ხუმრობ და კაცის სისხლში გინდა ხელები გაისვარო?! ადამიანის სისხლში გასვრილი ლუკმა უნდა ვჭამოთ!.. არასოდეს... მე მაგას თვის დღეში არ დაგანებებ, მაგას სჯობია შიმშილით დავიხოცოთ. —უთხრა დუნიამ ქმარს და გამხმარ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ორივე ცოლქმარი შავ ფიქრებს მიეცა. ბავშვები კი ჩაის შეექცეოდენ. ამ დროს კარებში სახლის პატრონი გამოჩნდა. სალამი არ მიუცია, ისე მიმართა ორივე ცოლქმარს:

— მეტი მოცდა აღარ შემიძლია, როგორც ხვალდილას სახლის ქირას არ მივიღებ თქვენგან, მაშინვე სუდებნი პრისტავს მოვიყვნ და უკანასკნელ ჰიქას აგიწერთ. — კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ცოლქმარს თავი მაღლა არ აუღიათ.

— რას იტყით, თქვენ გეუბნებიან? — კვლავ დაარღვია სიჩუმე სახლის პატრონმა.

— ზეგ დილამდის კიდევ უნდა მოგვითმინო როგორმე. ზეგ დილით უსათუოთ მიიღებ. — მტკიცეთ უთხრა ილუშამ.

— კარგი. მოვიცდი ზეგამდინაც. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს უკანასკნელი ვადაა. — გადაწყვეტით სთქვა სახლის პატრონმა და გავიდა.

— ეხლა რას იტყი, დუნია? — შეეკითხა ქმარი ცოლს.

დუნიამ პასუხის მაგიერ ტირილი დაიწყო.

— ნუ სტირი, ჩემო კარგო. სულ ერთია, ჩვენი ტირილი არვის ესყურება. ეკითხოს იმას, ვინც ჩვენ ასეთ ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაყვნა. ღმერთმა კი იცის, რომ ჩვენ არა ვართ დამნაშავე. ბავშვობისას მე ქათმის დაკვლა მეცოდებოდა. ეხლა კაცის სიკვდილში უნდა მივიღო მონაწილეობა. მერე ვის? ბევრჯელ ჩემი პატივისმცემელის სიკვდილში.—ეს სიტყვები მან ჩუმათ, საიდუმლოთ გულში გაიმეორა. ჩვენ კი არ მოვკლავთ,— უთხრა მან ცოლს, — ჩინელი გაუტეხს თავს. — ამ სიტყვებზე ქალს ტანში გააჟრჟოლა და ცრემლების ღაპალუპით ქმარს მუხლებზე მოეხვია.

— ნუ, თუ მოვკლავთ, შენიჭირიმე, ნუ დავიღებთ კაცის ცოდვას... ვინ იცის, იქნება მოხუცი დედა ჰყავს, ან ცოლშვილი სახლში ელოდება, უკეთესია შიმშილით დავიხოცე... — სიტყვების დასრულება ვერ მოასწრო დუნიამ, რომ გულზე ქმრის ხელი მაგრათ მოხვდა და იქვე ჩაიკეცა.

— ხმა, შე წყეულო!... — ნელის ხმით, მაგრამ კბილების კრაჭუნით შესძახა გაბრაზებულმა. მომიყვა ფილოსოფიას... რამდენათ ჩვენ ვებრალებით სხვებს, იმდენათ შევიბრალებ მეც... არავითარი მშობლები არა ჰყავს და ის კაცი ღირსიც არის სიკვდილის, ისეთი ვინმეა, — იცრუა ილუშამ. — არ გინდა, რომ კაცი მოვკლათ? გადი და ივაჭრე ქუჩაში, ისე როგორც სხვა დედაკაცები ვაჭრობენ და თავს ირჩენენ... გაძლევ ნებას. მაგრამ, ვიცი, შენ მაგას არ იზამ და ვერც ვერაფერს იშოვნი, რადგანაც შენზე უფრო ლამაზები და ახალგაზრდები გათენებამდის დაწანწალობენ ქუჩა-ქუჩა და მაინც შიმშილით იხოცებიან. მე რომ დღეს გაზეთში განცხადება არ მენახა, გადაწყვეტილი მქონდა სუნგარაში გადავვარდნილიყავი და თავი დამეხრჩო. გესმის თუ არა, თავი უნდა დამეხრჩო.

ილუშას ცოლს თვალებზე ცრემლები შეშრობოდა, იქვე ტახტზე ჩამომჯდარიყო და, იდაყვზე დაყრდნობილი, ქრმის სიტყვებს ისმენდა. სახე ემჭუხნებოდა, გაჩენის დღეს სწყევლიდა.. ილუშა უკანასკნელის გადაწყვეტილებით კარებში გავიდა.

ვინ იყო ილუშა? ის იყო შალვა კეთილაძის კარგი ნაცნობი, გვარათ ჩერნერი, ის ჩერნერი, რომელიც შალ-

ვასთან ერთად ივანოვის კანტორაში მსახურობდა, ხოლო კანტორიდან დათხოვნის შემდეგ ივანოვს მისთვის ორასი მანეთი ნამსახური წაერთმია, სამუშაო ვერაფერი ეშოვნა და ამიტომ ამ ჟამათ ასე ღარიბათ და კრიტიკულ მდგომარეობაში ცხოვრობდა.

— მოხარული ვარ, რომ ჯამაგირი მიგიღია და სახლში მიდიხარ — ეუბნებოდა ერთი საათის შემდეგ ილუშა ჩერნერი შალვა კეთილაძეს.

— შენი ხუთი მანეთი მაქვს, ადრესი დამიტოვე და როგორც ვიშოვი, მაშინვე გამოგიგზავნით — უთხრა შალვას ჩერნერმა.

— ეს არაფერია. რკინის გზის ბილეთს თუ კი ოცდა-ხუთ მანეთად მაყიდვინებ, ხუთ მანეთს კიდევ პირიქით მოგცემ.

— ბილეთს აუცილიბლათ გაშოვნინებ. მე თითონ მთხოვა გამაყიდვინეო. რკინის გზაში მსახურობს. მე შენი განცხადება წავიკითხე გაზეთში და მიტომ მოგნახე. მაშ ასე, ხვალ საღამოსავის დავიბარებ იმ კაცს და ბილეთსაც მოიტანს.

— კეთილი. ფულსაც თან მოვიტან ორი ბილეთისას და მოვალ საღამოს ექვს საათზე.

— ძალიან კარგი ეხლა კი ნახვამდის — ალერსებით უთხრა ჩერნერმა შალვას.

— ნახვამდის, — უპასუხა მხიარულის ღიმილით შალვამ და ხელი გამოართვა. მან ჩერნერს ვერ შენიშნა ვერავითარი მღელვარება.

— აი, შენ ამ სამზარეულოს კარებში დაიმალები, — ეუბნებოდა მეორე დღეს ჩერნერი ჩინელს, რომელსაც ხელში მოკლე რკინის კეტი ეჭირა.

— ფული ნამდვილათ იცი, რომ ათასი აქვს? — ჰკითხა ჩინელმა ნელის ხმით.

— ნამდვილათ ვიცი, სამი დღეა მიიღო ჯამაგირი და ორ დღეში კავკასიაში მიდის. თითონ სთქვა, ფულს თან მოვიტანო. ნახევარი შენი იქნება. მხოლოთ, ღმერთი არ გაგიწყრეს, არაფერი წამოგცდეს.

— მაგის იმედი გქონდეს, — უპასუხა ჩინელმა.

— ჩემი ცოლი შემოვა აქ, მაგრამ მან ყველაფერი იცის. კაცი ახალგაზრდაა, როცა შემოვა, მე თითონ თვალით განიშნებ. სანამ კარგათ არ დაჯდეს, მანამ არ გამოხვიდე ზურგი შენკენ ექნება. ისე მიეპარე, რომ არ შეგნიშნოს, თან ძალზე მაგრათ დაჰკარი, რომ ხმა ვეღარ ამოიღოს, თორემ ეზოში მდგმურებია და გაგვიგებენ.

— ეგ ჩემი საქმე იყოს, მხოლოთ იცოდე ხუთასი ჩემი უნდა იყოს, — მიუგო ჩინელმა.

— კარგი, მაგრე იყოს. ეხლა კი წავალ და მოვიყვან. მეოთხე ქუჩაზე მყავს დაბარებული. — ამ დროს სახლში ჩერნერის ცოლი შემოვიდა.

— დუნია, შენ სამოვარი დადგი, მე ეხლავე მოვალ. — უთხრა ჩენგერმა ცოლს და გავიდა.

— უკაცრავათ! მგონი, დავაგვიანე — თავისებური ღიმილით მიეგება შალვა ჩერნერს.

— არა უშავს, ჯერ ის კაცი მაინც არ მოსულა, — მართალივით სთქვა ჩერნერმა. — წამობძანდით და სადაც არის, ისიც მოვა. — შალვა გაჰყვა ჩერნერს.

— გაიცანით: ჩემი მეუღლე გახლავთ, — ჩერნერმა გააცნო ცოლი შალვს.

— დიდათ სასიამოვნოა, კეთილაძე გახლავართ — უთხრა შალვამ, ზრდილობიანათ ქალს ხელი ჩამოართვა და იქვე მაგიდასთან განგებ მომზადებულ სკამზე ჩამოჯდა, რომ ზურგი იმ კარებისაკენ ჰქონოდა მიქცეული, სადაც კეტით ჩინელი იყო დამალული.

— დუნია! ჩაი მოიტანე—უთხრა ჩერნერმა ცოლს.

— გმადლობთ, ნუ სწუხდებით — სთქვა შალვამ და ჯიბზე ხელი მოისო, — უკაცრავათ, ეხლავე გიახლებით—სთქვა მან და იქვე პაპიროსის საყიდლათ გავიდა. დუნიას კი ეხლა მოაგონდა გუშინდელი ამბავი და უცებ ყველაფერს მიხვდა. რაკი შალვა გარეთ გავიდა, დრო იშოვა და ქმარს მუდარებით მივარდა არ მოკლათ... არ მოკლათ ეს ანგელოზივით კაცი... სულ-ერთია ქართველები მაგის სისხლს არ შეგვარჩენენ, მე მომკალი, სინამ მაგის სისხლში ხელს გავისვრიდეთო,— ევედრებოდა ცოლი ქმარს, მაგრამ გვიან იყო. ამ დროს შალვაც შემოვიდა, პაპიროსს მოუკიდა და წინანდებურათ დაჯდა. საზაფხულო ქილოფის ქუდი მოიხადა და იქვე მაგიდაზე დასდო.

22—23 წლის სიცოცხლით სავსე, მომაღლო ტანის ყმაწვილი კაცი, სიმპატიური სახით, მოგრძო, შუაზე გაყოფილი თმით, ახალ აშლილი ულვაშებით, შავი თვალწარბით და გაშლილი მოღიმარე პირისახით, თეთრ კიტელში ჩაცმული, მშვენიერი სანახავი იყო.

შალვას მეტის მეტი სიცხისაგან ხვითქი გადასდიოდა, რასაც თეთრი ცხვირსახოცით მალი-მალ იხოცდა.

— მიირთვით ჩაი! — უთხრა ჩერნერმა და ლამბაქით ჩაი ახლო მიუდგა, მაგრამ ხელი ისე აუკანკალდა, რომ ჩაი კინაღამ დაღვარა.

— გმადლობთ — უთხრა შალვამ და ჩაი დაშაქრა. ამ დროს სამზარეულოს კარებიდან ჩინელმა ოდნავ გამოიჭვრიტა, მაგრამ მალე ისევ მიიმალა, რადგანაც შალვამ სკამი მაგიდისაკენ მიიჩოჩა და ჩაის მოურია.

ჩერნერის ცოლი იქვე კუთხეში მიდგმულ ტანისამოსის მაღალ შკაფს ამოფარებოდა და საშინლად ღელავდა: მის გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა, თითებს იმტვრევდა, აღარ იცოდა რა ექნა... ორ ცეცხლში იწვოდა. უნდოდა გამოვარდნილიყო, ეყვირა, მაგრამ ამდენი გამბედაობა აღარ შესწევდა. ამიტომ ის ამ დროს აუწერელ მდგომარეობაში იყო. ცხადათ გრძნობდა, რომ ასეთ მშვენიერ კაცს ორ წამში სიცოცხლეს მოუსპობდენ. პატარა ბავშვებს კი, იქვე საწოლზე სრულიათ გატიტვლებულთ, მისძინებოდათ. ოთახს ქუჩაში გამოსასვლელი კარები არა ჰქონდა, ხოლო უკანა კარები კი ოდნავ წამოხურული იყო, რადგანაც ზაფხულის ჩამავალ მზეს პირდაპირ კარებზე მიენათებია, თითქოს უნდოდა შალვასათვის მოსალოდნელი უბედურება ეცნო-

ბებია, მაგრამ სახლის პატრონი მზის სხივებს კარებს უკეტავდა და ამის ნებას არ აძლევდა.

— მაშ თქვენ აპირებთ კავკასიაში წაბრძანებას — უთხრა ჩერნერმა შალვას და ჩაის მაშინალურათ მოურია.

— დიახ, სამი დღე კიდევ და მოვშორდები ხარბინს, სამი წელიწადი შესრულდა მოხუცი მშობლები აღარ მინ... შალვამ ვეღარ მოასწრო სიტყვის დასრულება, ისე, თავ გატეხილი, უსულოთ ცემენტის იატაკზე გაიშხლართა. მისი ლამაზი თავი ერთ წამში აღდგომის კვერცხივით შეიღება. ერთი უცებ დააღო პირი, თითქოს რამის თქმა უნდაო, შავი დიდრონი თვალები უაზროთ ჩერნერს მიანათა, ვითომც უნდოდა ეთქვა — არა გრცხვენია, რომ მიღალატეო... და გათავდა...

ჩინელმა შალვას ფეხზე დაავლო ხელი და დაკლული ღორივით სამზარეულო ოთახში გაათრია. ჩერნერის ცოლმა შეჰკივლა და იქვე ჩაიკეცა. ბავშვებსაც გამოეღვიძათ და ტირილი მორთეს. ჩერნერმა კი მაშინვე კარები ჩაკეტა და ცოლს მივარდა: — ხმა გაკმინდე!.. ბავშვები გააყუჩე, არავინ გაგვიგოს — თვალების ბრიალით უთხრა ცოლს და ჩინელთან შეიჭრა. ჩინელს შალვასთვის თეთრი კიტელი შემოეგლიჯა და ჯიბეში თუ რამ ჰქონოდა, ამოეღო. ას მანეთიანი, რომელიც შალვას ჰქონდა, ჩინელს უკვე გადაემალა და ეხლა ბანკის წიგნაკს შინჯავდა.

— ტყვილა მოგვიკლავს, მგონი არაფერი ჰქონია — სთქვა ჩინელმა და წიგნაკი ჩერნერს გადასცა, რომლითაც სჩანდა, რომ შალვას ბანკში 430 მ. ჰქონებოდა შენახული. ჩინელმა შალვას ეხლა შარვლის და ჟილეტის ჯიბეები გაუშინჯა, საიდანაც 25 მანეთამდე ფული, ოქროს ყარანდაში და ვერცხლის საათი ამოაცალა. ოქროს ყარანდაში ჯიბეში ჩაიდო, ხოლო საათი და 25 მან. ჩერნერს გადასცა.

— ამ კონვერტში რაღაა? — სთქვა ჩერნერმა და თეთრი, სისხლში გასვრილი დაბეჭდილი კონვერტი გახსნა, მაგრამ იმაში ფოსტის კვიტანციების მეტი არაფერი არ ყოფილა. ჩინელმა და ჩერნერმა ერთი მეორეს შეხედეს.

— რატომ მომატყუილე და მომაკვლევინე, თუ ფული არ ჰქონდა?! გულის მოსვლით დაეკითხა ჩინელი ჩერნერს.

— ალბათ, თან აღარ წამოუღია — გაწბილებულის კილოთი სთქვა ჩერნერმა. 430 ბანკში ჰქონია. ამის მიღებაც შეიძლება.

— სვოლოჩა ტვაია!—დამტვრეული რუსულით უთხრა გულმოსულმა ჩინელმა ჩერნერს, რკინის კეტს ხელი დაავლო და წასვლა დააპირა, მაგრამ მას ჩერნერი კარებში გადაეღობა და არ გაუშვა.

— ჯერ ვერ წახვალ, უნდა დამამარხვინო. მტკიცეთ და ამაყათ უთხრა ჩერნერმა ჩინელს. მან წასვლა ვეღარ გაბედა.

— თავი უნდა მოვჭრათ და ცალკე დავმარხოთ— სთქვა ჩერნერმა.

— თავი რატომ უნდა მოვჭრათ?—იკითხა ჩინელმა.

— აქვე ეზოში დუქანში პაპიროსი იყიდა, თუ ნახეს დამარხული, იცნობენ და ადვილათ შესაძლებელია ეჭვი ჩვენზე მოიტანონ, ამიტომ სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

— მაშ ჯერ ადრეა, დაღამდეს ბარემ ჩერნერმა იატაკზე დაღვრილი სისხლი მოსწმინდა. მისი ცოლი კი იქვე ბავშვებთან იყო და იმათ აყუჩებდა. სამზარეულო ოთახისაკენ შიშით ვერ მიეხედნა.

— სადმე თოკები და ჩვრები მოგვინახე —უთხრა ჩერნერმა ცოლს და ისევ იქ შევიდა. ჩინელს შალვასათვის ახალი შარვალი და „ბატინკები“ გაეხადა.

— ამ დანით შეიძლება თავის მოჭრა?—იკითხა ჩერნერმა.

— მოიტა.—ჩინელმა დანას პირი გაუსინჯა —არა უშავს, თუმცა ბლაგვია. შენ ფეხები დაუჭირე მაგრათ —უთხრა ჩერნერს ჩინელმა, შალვას გრძელ, გასისხლიანებულ თმაში ხელი ჩაჰკიდა, კისერი გადაუწია და დანა ყელში რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისრე მაგრათ გაუსვა. ცოტა ხნის შემდეგ ტანი და თავი ერთი მეორეს მოაშორა.

შალვას გვამი სისხლის მორევში ცურავდა...

ღამის თერთმეტ საათზე, ჩვრებში გახვეული და ფეხებში თოკებ მობმული შალვას გვამი ჩუმათ სახლიდან გამოიტანეს და იქვე მახლობელ მიყრუებულ მინდვრისაკენ წაათრიეს... მთვარე არ იყო და ამიტომ საშინლათ ბნელოდა. ჩინელს ცალ ხელში შალვას თავი ეჭირა, ხოლო ცალი ხელით თოკს ეკოწიწებოდა.

— აი აქ დავმარხოთ—სთქვა ჩინელმა.

— არა, აქ უხერხულია. მიწა ძნელი მოსათხარია და თან მალე შენიშნავენ. აი, იქ რკინის გზის გადმონათხარ მიწაში ჩავმარხოთ, მიწაც ადვილი მოსათხარია და ვერც ისე ადრე ნახავენ.

— კარგი—დასთანხმდა ჩინელი და გვამის თრევა ისევ განაგრძეს. გზა-გზა რომ სისხლი არ დაწვეთებულიყო, ამიტომ მონაჭერ კისერზე კირი მიაყარეს და ჩვრებით შეუხვიეს, რამაც სისხლის დენა მოსწყვიტა.

— აი, აქ კარგია—სთქვა ჩერნერმა და მალლათ შეზვინულ მიწას ბარით დაუწყო თხრა. ცოტა კიდევ და შალვას გვამი მიწას მიაბარეს, ხოლო თავი კი იქვე 80 საჟენის მოშორებით ცალკე მიწაში ჩაფლეს... სისხლში გასვრილი ხელები იქვე ჩამომდინარე წყალში გაიბანეს, მიიწმინდ-მოიწმინდენ და... თითქოს აქ არაფერიაო, თავ-თავიანთ გზას გაუდგენ!..

**ხ. რემთნიძე.**

(დასასრული იქნება).

# შინაური ამბები.

✦ უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ კავკასიის სამოსწავლო მზრუნველმა გეგმა შეადგინა. მზრუნველის გეგმის თანახმად ჯერ გაიხსნება ერთი ფაკულტეტი. განზრახვა აქვთ ამ ახლო ხანში მოიწვიონ

უმაღლეს სასწავლებლის დამაარსებელ მთავარ კომიტეტის კრება, სადაც განიხილავენ მზრუნველის გეგმას.

✦ თფილისში მასსიური ჩხრეკა და დაპატიმრება გრძელდება.

✦ როგორც „პრავდა ჟიზნი“ სწერს, აპრილის ბოლო რიცხვებში კავკასიის ნამესტნიკი პეტერბურგს გაემგზავრება. გაზეთის სიტყვით, ნამესტნიკის წასვლას კავკასიაში განზრახულ რეფორმებთან აქვს კავშირი.

✦ „კასპის“ ქუთაისიდან ატყობინებენ: ხმა დადის, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სლავოჩინსკი სამსახურს თავს ანებებსო. ამის მიზეზად ასახელებენ დ. მიქელაძის, კ. აბაშიძის, ნ. თავდგირიძის და სხვათა დატუსაღებასაო.

✦ მკითხველებს შეიძლება ახსოვთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინად თფილისში შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც შეუდგა სახალხო სახლის ასაშენებელ ფანხის შეგროვებას და 17,000 მან. კიდეც შეაგროვა. რაკი სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებმა ააშენეს, კომიტეტმა ეს ფული ბანკში შეიტანა. როგორც გავიგეთ, ამ ფულს კომიტეტი უთმობს ქალაქის გამგეობას იმ პირობით, რომ მან რომელსამე განაპირა უბანში მეორე სახალხო სახლი ააგოს.

✦ ხონის სამასწავლებლო სემინარიის უკანასკნელი კლასის მოწაფეები 3 და 4 აპრილს თფილისში ჩამოვლენ ღირს შესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლათ.

✦ 9 აპრილს მოხდება ხონში კრება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა.

✦ კრება ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა, დანიშნული პირველ აპრილს, გადიდო 26 აპრილისათვის.

✦ ს. დანირში გაიხსნა უფრო სამკითხველო ბიბლიოთეკა.

✦ იმერეთში მოდებულია საქონლის ავადმყოფობა „თურქული“.

# რუსეთის ცხოვრება

—:—

✦ **ტობოლსკი.** 27 მარტს იშიმის სატუსაღოში არეულობები მოხდა. როდესაც ტუსაღებს წინადადება მისცეს დაშლილიყვენ, მათ ზედამხედველებს და სალდათებს ფიცრები და სკამები დაუშინეს. ხუთი ტუსაღი დაიჭრა. 29 მარტს, როდესაც საპყრობილის უფროსი ტუსაღებს ათვალიერებდა, ერთმა ტუსაღმა მძიმეთ მკერდში დასჭრა საპყრობილის უფროსი.

✦ პოლკოვნიკ ლიახოვს უმაღლესად ებოძა წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი.

✦ პეტერბურგში კანტი-კუნტათ კიდევა ხდებიან ავად ხოლერით.

✦ „ნიჭიერისა და სამშობლოსადმი სიყვარულით ალსავსე მოღვაწეობისათვის“ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტატს-სეკრეტარს სტოლიპინს ებოძა ორდენი თეთრ არწივისა.

✦ ლოპუხინის საქმე, რომელიც ამ თვის პირველ ნახევარში უნდა გაერჩიათ, გაზეთების სიტყვით, მაისის ბოლოსთვის გადაუდვიათ.

✦ სინოდს თავის უკანასკნელ სხდომაზე დაუდგენია, შერისხოს (ანათემა) ყველა ის, ვინც კათოლიკობას მიიღებს.

✦ როგორც მკითხველს მოეხსენება, პეტერსონ-პურიშკევიჩის საქმე სახელმწიფო საბჭოს გადაეცა, რომელმაც საქმე შეაჩერა, რადგან იგი მინისტრთა საბჭოს არ განუხილავს. პეტერსონ-პურიშკევიჩის საქმე ბარონ ნოლდემ მინისტრთა საბჭოს არ აცნობა და პირდაპირ ხელმწიფეს გადასცა. მინისტრთა საბჭოს უკანონოდ უცვნია ეს. „რეჩი“ სწერს, მინისტრთა საბჭოს ამ გადაწყვეტილებას ბარონ ნოლდესა და გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სამსახურიდან გასვლა მოჰყვებაო.

# უცხოეთი

—:—

### ინგლისი.

**„დიდებული ქარტია თავისუფლებისა“ (ბავშვთა მფარველი კანონი).**

ინგლისი ევროპის პირველ სახელმწიფოა, რომელმაც მოხუცთა პენსია შემოიღო და ამით განსაზღვრულ ხარისხზე აღიყვანა მოხუცთა უზრუნველ ყოფის საქმე.

ლიბერალურ კაბინეთის სოციალ-რეფორმატორული მოქმედება ამას არ დასჯერდა. 1-ლ აპრილს (ახალი სტილით) ძალაში შევიდა მცირე წლოვან ბავშვთა მფარველი კანონი, „დიდებული ქარტია თავისუფლებისა“. ამ გვარათ ინგლისი მესვეურათ უხდება მთელის ქვეყნიერობის კულტურულ მხარეთ მცირე—წლოვანთა და მოხუცთა მფარველობის საქმეში.

ამ ახალ კანონის შინაარსი შემდეგია. ბავშვებს, რომელთაც 16 წელიწადი არ შესრულებიათ, აღკრძალული აქვთ თამბაქოს წევა. პოლიციელთ ნება აქვთ გაჩხრიკონ მცირე წლოვანნი და, თუ თამბაქო აღმოაჩნდებათ, ჩამოართვან იგი. ვაჭრებს დიდი ჯარიმა გადახდებათ, თუ ბავშვებს თამბაქო მიჰყიდეს. შემდეგ ბავშვებს 14 წლამდე აღკრძალული აქვთ სასმელ დუქნებში სიარული. ასეთ ადგილებში მშობლებსაც კი ვერ შეჰყვებიან. მშობელთა და აღმზრდელთ აღკრძალული აქვთ უპატრონოთ დააგდონ ბავშვები იმ ოთახებში, სადაც ფეჩი, ან ბუხარი ანთია (ინგლისში ბევრი უბედურება ემართებათ ბავშვებს ბუხართან).

მშობელთა ან მზრუნველთა მხრით ბავშვებზე უყურადღებობას ზოგ შემთხვევაში ხუთის წლით ციხეში ჯდომა და 200 გირვანქა სტერლინგის გადახდა მოსდევს სასჯელათ. ისინი, ვინც ბავშვებს სამოწყალოს სათხოვნელად გაჰგზავნიან, დასჯილ იქნებიან ციხეში ჩამწყვდევით. აღკრძალულია აგრეთვე ბავშვებისაგან რისამე ყიდვა.

კანონს დასასრულ შემოაქვს, განსაკუთრებული იურისდიქცია მცირეწლოვან დამნაშავეთათვის. 16 წლამდე ყმაწვილის ციხეში დაპატიმრება სრულიად უქმდება. მცირე წლოვან კაცის მკვლელს, 14—16 წლამდე ხნისას, სასჯულო მინისტრის ბრძანებით შეიძლება დაენიშნოს განსაკუთრებული საპატიმრო, მაგრამ საერთო სატუსაღო კი არას გზით არ შეიძლება მიესაჯოს. სასამართლოს მხრით საქმის წარმოება გამარტივებული იქნება და ბავშვთა გასამართლების საქმეს უფრო ოჯახური ხასიათი ეძლევა.

**გაზეთ „Vorwörts“-ის 25 წლის იუბილე.**

18 მარტს გერმანიის სოციალ-დემოკრატთა ცენტრალურმა ორგანომ „vorwärts“-მა თავის არსებობის 25 წლის იუბილე იდღესასწაულა. რედაქციამ გამოსცა საინტერესო საიუბილეო ნომერი, რომეშიაც მოთავსებულია წერილები გერმანელთა და უცხოეთის სოციალისტებისა, სურათებით, მთის ცხოვრების აღწერით, მემუარებით (მოგონებანი) და სხვ. სხვათა შორის ყურადღებას იქცევს ჟორესის წერილი საფრანგეთ-გერმანიის თანხმობის მომავალზე. ჟორესი აღნიშნავს იმ სიხარულს, რომელიც საფრანგეთში გამოიწვია საზღვაო საქმეში გერმანიასთან სათანხმო ხელშეკრულობამ, და იმედს გამოსთქვამს, რომ ეს თანხმობა სხვა სადავო საკითხებზედაც გავრცელდებაო. საფრანგეთსაო,—განაგრძობს შემდეგ ჟორესი,—ეჭვი აღარა აქვს ეხლა თავის სამხედრო ძალაშიო. მხედრობის ძალა დრეიფუსის საქმის გამო გაძლერდა, რადგან უკანასკნელმა დემოკრატიულმა მთავრობამ სათავე გაუწმინდა მხედრობას და ამისი შედეგი კი ის იყო, რომ აფიცრები ჯარის კაცთ დაუახლოვდნენ. მით უფრო ადვილია დაახლოვება გერმანიასთან. დაახლოვების პირობებად ჩნდება როგორც სერიოზული კონსტიტუციონური უზრუნველყოფა ელზას-ლოტარინგიისა, ისე დამკვიდრება ჭეშმარიტ დემოკრატიულ რეჟიმისა გერმანიაში: თუ ეს დამყარდა, საფრანგეთის და გერმანიის დემოკრატია საუკუნო კავშირს შეჰკრავენო.

ამავე ნომერში მოთავსებულია ჯერ დაუბეჭდავი წერილი კარლ-მარქსისა, მის მეგობარ ინგლისელ პროფესორ ბისლთან მიწერილი. ამ წერილში საყურადღებოა ის სტრიქონები, რომელიც ეხება სიყმაწვილეში ცნობილ დემოკრატს, ხოლო შემდეგ ბისმარკთან სამსახურში შესულს ლოტარ ბუხერს. თურმე ბუხერი რკინის კანცლერთან სამსახურის დროსაც არა სწყვეტავდა კავშირს მარქსთან და საყურადღებო ცნობებს აწვდიდა ამ უკანასკნელს: მაგალითად, ატყობინებდა, დაჭერას გიპირებენო. 1871 წ. 12 ივნისის თარიღით მარქსი იწერება ლონდონიდან:

„... ჩემი დამოკიდებულება კომუნასთან განვაგრძე ერთის გერმანელ ვაჭრის შემწეობით, რომელიც საქმეების გამო მთელის წლის განმავლობაში დადიოდა ლონდონსა და პარიზს შუა. ყველა მიმოწერას სიტყვიერათ გადასცემდა ხოლმე, გარდა ორის შემთხვევისა. ასე, 11 მაისს 1871 წელს წერილით შევატყობინე ყოველი წვრილმანიც კი ბისმარკისა და ჟიულ ფავრის საიდუმლო შეთანხმებისა, რომელიც ფრანკფურტში შეჰკრეს. ეს ჩემი ინფორმაცია გამომდინარეობდა ბისმარკის მარჯვენა ხელიდან, იმ კაციდან, რომელიც წინად (1848—1853 წ.) ეკუთვნოდა საიდუმლო საზოგადოებას, რომლის მეთაურიც მე ვიყავი. ამ კაცმა იცის, რომ ჩემს ხელთ არის ყველა იმის მოხსენებანი, რომელნიც ერთ დროს გამომიგზავნა გერმანიის საქმეებზე. იმისი ბედი ჩემზეა დამოკიდებული. ამიტომ ყოველთვის კეთილ განწყობილებას იჩენს ხოლმე ჩემთან. აი, ამას წინათ გამაფრთხილა, რომ ბისმარკი დაჭერას გიპირებს, თუ წელს დოქტორ კუტელმანს ესტუმრე ჰანოვერშიო“...

**არეულობა ოსმალეთში.**

**სტამბოლი.** იფეთქა სამხედრო აჯანყებამ, რომელმაც სერიოზული ხასიათი მიიღო. ტელეგრაფზე პოლიტიკურ დეპეშებს აღარ იღებენ.

სამხედრო აჯანყებამ სტამბოლში 31 მარტს ღამე იფეთქა. სალდათებმა სხვა და სხვა ყაზარმაში შეჰკრეს აფიცრები, მერე იარაღით ხელში გამოვიდნენ, პარლამენტს შემოერტყნენ და მოითხოვეს სამხედრო მინისტრის ახმედ-ალი-რიზას და დიდი ვეზირის ხილმი-ფაშის გადაყენება და ისეთ კანონების გაუქმება, რომელიც შარიატს არ ეთანხმება. აჯანყებული ხუთი ათასამდე იქნება. მათვე დეპუტაცია გაუგზავნეს სულთანს და დაიბარეს პარლამენტში. სალონიკელ სალდათებისა და ცხენოსან ჯარის ნაწილი, რომელთაც ახალგაზრდა ოსმალებს არ უღალატეს, აგრეთვე ყველა არტილერისტები და არ დაპატიმრებული აფიცრები სერასკერიატში შეიკრიბენ და მოემზადენ აჯანყებულთა დასახვედრად. მთავრობის სადგომში მინისტრებს თათბირი აქვთ. შეიხ-ულ-ისლამს მოლაპარაკება ჰქონდა აჯანყებულებთან, რომელთაც რეაქციონერები და სოფტები აქეზებენ, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ ჯერ-ჯერობით უნაყოფოდ ჩაიარა. მაღაზიები დაკეტილია. პერაში ჯერ მშვიდობიანობაა. პერის ყაზარმების სალდათები უაფიცრებოდ ჯგუფ-ჯგუფად სტამბულში გადარბიან. მათ შორის არიან მთვრალი მაწანწალები.

საქმის ვითარება სერიოზულია. აჯანყებულნი მთავრობის სადგომს არ იჭერენ, როგორც პირველ დეპეშებში იყო ნათქვამი, არამედ გარს ერტყმიან პარლამენტს, თუმცა დეპუტატებს უშვებენ. მეამბოხეებს მიეშველენ ქალაქის შეიარაღებული ბრბოები.

**სპარსეთი.**

ასტარაში მოვიდა შახის ჯარი 300 კაცისაგან შემდგარი. ისარგებლეს რევოლიუციონერების დაუდევრობით და დაიჭირეს მოწინავე პოზიციები, რამაც დიდი დრტვინვა გამოიწვია რევოლიუციონერთა შორის, მაგრამ ერთმა რევოლიუციონერმა გაამხნევა ამხანაგები, სტაცა ხელი თოფს და 50 რაზმელით მოულოდნელათ თავს დაესხა შახის ჯარს. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ

ი 208/1909 /2

შახის ჯარი სასტიკათ დაამარცხეს და დაჭერილი პოზიციებიდან გარეკეს. მტერს მოუკლეს 12, დაუჭრეს 13, ორიც ტყვეთ წამოიყვანეს. ხარასანის და ასტრაბადის ყველა უმთავრეს ქალაქებში რევოლიუციონერებმა გარეკეს მთავრობის ყველა აგენტები და სახალხო ენჯუმენები დააარსეს. მაზანდარის პროვინციაში ჯერ კიდევ ბრძოლა სწარმოებს. შედეგი არ იციან.

— ბაქოში დაატყვევეს მილიონერი აშურბეკოვი. მას ბრალს დებენ—ვითომ სათარ-ხანს შემწეობასაძლევდაო.

## ოსმალეთი.

ხილმი ფაშა სამსახურიდან გადადგა. ფიქრობენ, რომ მის ადგილს ქიამილ-ფაშა დაიჭერს. როცა ეს ამბავი გაიგეს—ბრბო დაიშალა. არეულობის დროს მოუკლავთ იუსტიციის მინისტრი და დეპუტატი ემირარსლანი, რომელიც შეცდომით მიუმგზავსებიათ გაზეთ „ტანინის“ რედაქტორისათვის. საზღვაო მინისტრი დაჭრილია, სამხედრო მინისტრი — დატყვევებული.

უკვე გამოიცა ბრძანება, რომლითაც მთავარ-ვეზირათ დანიშნა გარეშე საქმეთა მინისტრი — ტევთი ფაშა, ხოლო სამხედრო მინისტრათ — ედხემ-ფაშა. ტელეგრაფებმა განაახლეს პოლიტიკურ ტელეგრამების მიღება. პარლამენტის თავმჯდომარემ ახმედ-რიზა-ბეიმ, ითხოვა სამსახურიდგან გადადგომა. სულთანის მდივანი მივიდა პარლამენტში და წაუკითხა ჯარის კაცებს სულთანის ბრძანება კაბინეტის გამოცვლაზე, ამნისტიაზე და იმაზე, რომ შარიატი მტკიცედ იქნება დაცული.

„კორესპ. ბიუროს“ სტამბოლიდენ ატყობინებენ: დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად აირჩიეს ალბანელთა ლიდერი ისმაილ-კემალი, შეიხ-ული ისლამი თავის ალაგ რჩება. რამდენიმე ახალგაზრდა ოსმალო სტამბოლში უგზო-უკლოდ დაიკარგა. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის ძალა ძალიან დაეცა. ძველის ოსმალეთის მომხრეებმა თითქმის გაიმარჯვეს. დღეს ქალაქში აღელვებაა.

# პროვინცია

**ს. ლელიანი** (სილნალის მაზრა). ეს სოფელი ახლად გაშენებულია. აქ ოთხი-თუ ხუთი წლის წინათ მოსახლეს ვერ იპოვიდით და არა თუ მოსახლეს, ცარიელ კაცსაც გაუჭირდებოდა გასვლა ამ გაუვალ ტყეში. მაგრამ ამ ბოლო ხანში იწყო გადმოსახლება იმერეთის ხელმოკლე გლეხკაცობ ამ და ეს დაბურული, გაუვალი ჭალა დღეს მცხოვრებლებით გაივსო. იმერლების გადმოსახლებას თან მოჰყვა ოსებისაც და დღეს თითქმის ოსების რიცხვი კიდეც აღემატება პირველს. ამ სოფელში თითქმის 1.500 კომლია. პირველად კეთილ განწყობილებაში იყვენ როგორც იმერლები, ისე ოსები და უბრალო მეგობრობის გარდა ნათესაობა და სხ. გააჩაღეს ერთმანეთ შორის. მაგრამ ამ ბოლო ხანში, სამწუხაროთ, ერთმანეთ შორის. შუღლი დღითი დღე მატულობს. პირველი საბაბი მტრობისა ქურდობაა, რომელსაც ზოგიერთი ვაჟბატონები სისტემატიურათ ეწევიან. რასაკვირველია, მე იმას არ ვამბობ, რომ ამ საძაგელ „ხელობას“ მთელი ოსობა ეწევოდეს. არა, იმათ შორისაც მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც სულითა და ხორცით ებრძვიან ამ თავიანთ სახელის გამტეხლებს. მხოლოდ საქმე ის არის, რომ იპოვეს დრო ზოგიერთმა ვაჟბატონებმა და ამ საზიზღართა მოქმედებას მთელ ოსობას აწერენ და ამით ჩირქსცხებენ პატიოსან ხალხს რასაკვირველია, მისალა ბევრი მოეპოვებათ ამ ყმაწვილებს და უსისინებენ ოსებზე იმერლებს. არც ოსებშია ნაკლები ნაძირალნი და ოსებს იმერლებზე აქეზებენ: ამ აგიტაციამ ნაყოფიც გამოიღო. ამას წინათ საზოგადო ყრილობა იყო, სადაც ამ ვაჟბატონების ზედ გავლენით ერთხმად გადასწყვიტეს ოსები არ მიიკარონ არც კანცელარიის აშენებაში და არც ეკკლესიის შეკეთებაში. ჩვენ და მათ შორის ხიდი უკვე ჩატყდაო, გაიძახოდენ ყრილობაში. იმის მაგივრათ, რომ როგორც იმერლებმა, ისე ოსების პატიოსანმა პირებმა მხარი მხარს მისცენ და საერთო ძალით ებრძოლონ ამ ცარცვა გლეჯას, დღეს სულ სხვა სამოსელში გამოხვიეს ეს საქციელი და ერთი მეორის მტრობა ჩაიდვეს გულში ამით, რასაკვირველია, უფრო გათამამდენ ეს ნაძირალები და ცარცვა გლეჯამ ერთი ორათ იმატა. დღეს ასე ხდება. თუ ოსმა მოიპარა რამე, მთელი ოსობა ფეხზე დგება და სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ქურდების მაძებარს. ამის მაგალითები ხშირათ ხდება.

ამას წინათ რამდენიმე სული საქონელი დაიკარგა რასაკვირველია, პატრონებს ნება არ მისცეს მამასახლისის თინადასწრებით გაეჩხრიკათ შენიშნული ოჯახები. მოვიდა ჩიფრები და შემდეგი სურათი დატრიალდა: კერიების უკან მიწაში აღმოაჩინეს ტყავები რამდენიმე ოჯახში. ხორცი კი, როგორც ბოლოს გამოტყდენ, მთელ ერთ უბანს დაერიგებია (ამ უბანში 60 კომლია). საქონელი სულ 7 სული იყო დაკარგული და ამათი ხორცი არც ასე მალე შეიჭმევოდა. მართლაც ზოგ სახლიდან ბეჭი გამოიტანეს, ზოგიდან ბარძაყი და სხ.

არ შეგვილია არა ვთქვათ ისიც, რომ იმერლებშიაც არ მოიპოვებოდენ ქურდ-ბაცაცები. მაგრამ მეორე პირველისაგან მით განირჩევა, რომ თუ კი აღმოაჩინა თავისი ქურდი, სასტიკათ სჯის მას.

დრო არის, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიეპყროს და იმ ოსების ოჯახებმა მაინც, რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ განსხვავდებიან დანარჩენებისაგან, თავი დაანებონ ქურდების მფარველობას და როგორც იმერლემბა, ისე ოსებმაც შეერთებული ძალ-ღონით ილონონ რამ იმ უბედურობის უღლის წინააღმდეგ, რომელიც მათ აუცილებელ ტვირთათ დასწოლიათ; ეს უღელი კი ის არის, რომ ორივეს ერთი და იგივე მიწა აქვთ ნაყიდი ბანკის საშუალებით, ერთ და იმავე ამხანაგობაში არიან და ბანკი როგორც ერთს, ისე მეორეს მიწასთან ასწორებს.

ასეა დღეს ჩვენი სოფლის ვითარება და მომავალი რას გვიქადის, ძნელია ამის გამოთქმა.

**ვანელი ბაგრატა**

რედაქტორ-გამომცემელი **ლევ. დადეშქელიანი.**

ელექტრო-ტიპოგრაფია **მ. დ. ძიძნაძისა,** ტფილისი. ელისაბედის ქუჩა № 17.